

K 9807  
1



საქართველოს სსრ

პოლიტიკური და მეცნიერული  
ცოდნის გამაფრგელებელი საზოგადოება

პ. ღუღუშაშელი

# მიხეილ მოღობეოვანის შემოქმედება

თბილისი

1955

ს ე პ ა რ ი თ ვ ე ლ რ ს ს ს ა რ ე დ ი გ ი კ ე რ ი ღ ა მ ა ხ ე ნ ი რ ი ე ლ რ ი  
ც მ დ ნ ი ს გ ა მ ა ვ ა რ ი ს ც ე ლ ე ბ ა დ ი ს ა ზ რ გ ა დ რ ი ე ბ ა

პ. მ უ დ უ ფ ა შ 6 0

4

## ა უ ც ი ღ მ ღ მ ხ ვ ი ს ც კ ც ც ე ც ე ც ე

თ ბ ი ლ ი ს შ ი წ ა კ ი თ ხ უ ლ ი  
ს ა ჯ ა რ ი ლ ე ქ ც ი ი ს ს ტ ე ნ ი გ რ ა მ ა



თ ბ ი ლ ი ს შ ი წ ა კ ი თ ხ უ ლ ი  
1955



მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი ფრიად სახელგანთქმული თანამედროვე რუსი საბჭოთა მწერალია. მის შემოქმედებაში ასა-ხულია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

მ. შოლოხოვის ერთ-ერთი ძირითადი ოვისებაა მხატვრულ სახეებში ისტორიული განვითარების კანონზომიერების უკუფენის, ძლიერი პოეტური გრძნობისა და მგზნებარე ლირიზმის გაერთიანება. შოლოხოვი სინამდვილეს ასახავს მთელი მისი სირთულით, წინა-აღმდეგობებით, კონფლიქტებითა და სიძნელეებით. ამასთანავე ის გვიჩვენებს ამ სიძნელეთა დაძლევის საშუალებას და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ წინავლას კომუნიზმისაკენ. მწერლის ნაწარმოებებში ჩვენ ყოველ-თვის ვგრძნობთ ისტორიულ პერსპექტივას, მომავალს, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ქმნიან.

მ. შოლოხოვის ბრწყინვალე ნიჭი თავს იჩენს იმით, რომ, როდესაც მის ნაწარმოებებს კვითხულობთ, თითქოს მათში აღწე-რილი ცხოვრების მონაწილენი ვხდებით. ეს კი იშით აიხსნება, რომ მწერალი ორგანულად დაკავშირებულია ხალხთან, იმ წრეს-თან, რომელსაც ასახავს.

მისი ნაწარმოებების მთავარი გმირია მშრომელი ხალხი, რომე-ლიც ისტორიაში პირველად გახდა თავისი თავის ბატონ-ჰატონი.

მწერალი არაჩვეულებრივ დამარწმუნებლად ავლინებს ხალ-ხის დაუშრეტელ ძალას, მისი შინაგანი სამყაროს სიმდიდრესა და შემოქმედებითს შესაძლებლობებს. შოლოხოვის შემოქმედება მართ-ლაც რომ ხალხურია, ხალხის ცხოვრების მოწინავე, წამყვანი ტენ-დენციების მქადაგებელი. ამიტომ იყო, რომ ი. ბ. სტალინმა შოლო-ხოვს „ჩვენი ღროის სახელმოვანი მწერალი“ უწოდა.

მხატვრული სიტყვის გამოჩენილმა ოსტატმა, კლასიკური რუ-სული და საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა, შოლოხოვმა შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებმაც საბჭოთა და საზოვარგარეთული მკითხველის დამსახურებული სიყვარული მოიპოვეს.

მოწყობილმა კულაკურმა ამბოხებებმა ციმბირში, უკრაინაში, ტამ-ბოვის გუბერნიაში (ანტონოვშჩინის). გამოცოცხლდა ყოველგვარი კონტრრევოლუციური ელემენტების — მენშევიკების, ესერების, ანარქისტების, თეთრგვარლიელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების საქმიანობა“<sup>1</sup>.

ყოველივე ამან მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა შოლოხოვის ცხოვრებაში და გარკვეული გამოსახულება პოვა მის შემოქმედებაში.

თვრამეტი წლის შოლოხოვი 1923 წელს მოსკოვს ჩავიდა. აქ ის რამდენიმე ხანს მუშაობდა შავ მუშად, ქვის მჭრელად, მტვირთავად, მოანგარიშედ. იმავე დროს შოლოხოვმა თვითგანვითარებასთან ერთად დაიწყო მოთხრობების წერა დონის ცხოვრებიდან. 1923 წელს გაზეთ „იუნოშესკაია პრავდაში“ დაიბეჭდა მისი პირველი ფელეტონი, ხოლო 1923 წელს უურნალ „კრესტიანსკაია მოლოდიოუში“ — პირველი მოთხრობა „კვიცი“.

1925 წელს გამოვიდა მ. შოლოხოვის მოთხრობების კრებული „დონური მოთხრობები“. ამ კრებულის წინასიტყვაობაში გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ა. ე. სერაფიმოვიჩი აღნიშნავდა ახალგაზრდა მწერლის თვალსაჩინო ნიჭს. იმავე წელს გამოვიდა მოთხრობების მეორე შევსებული კრებული „ლაზარევის მინდორის“ სათაურით.

ეს ის დრო იყო, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა რუსმა მწერალმა ა. მ. გორკიმ, მტკიცდებოდა მეცაც ბრძოლაში დეკადენტობის, ფორმალიზმის, ნატურალიზმისა და ხელოვნების სხვა ბურჟუაზიულ დამანიჩნებათა წინააღმდეგ.

საბჭოთა ლიტერატურა სულ უფრო და უფრო იკრებდა ძალონებს და სრულყოფილი ხდებოდა. მას ფრთხო მასებში შეპქონდა თავისი დროის მოწინავე იდეები და მათ მლალადებლად გამოიდა. ა. მ. გორკი თავის შემოქმედებაში ასახავდა კაპიტალიზმის ძეელი სამყაროს რღვევას და მიესალმებოდა ახალი ადამიანის, ჩვენი დროის ნამდვილი გმირის წაპოვნობას. მძრავად გაისმოდა დიდი, მგზნებარე ტრიბუნის უ. მაიაკოვსკის მქუჩარე სიტყვა.

<sup>1</sup> საკავშირო ქპ (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 304.

ვანაგრძობდა რა წარსული ღროის დიდ მწერალთა საუკეთესო  
ტრადიციებს, საბჭოთა ლიტერატურა სრულიად ახალ საქმეს, კა-  
ცობრიობისათვის მანამდე უცნობი სოციალისტური კულტურას  
მშენებლობას ახორციელებდა.

ამ პირობებში ვითარდებოდა და მწიფდებოდა მ. შოლოხო-  
ვის ნიჭი.

შოლოხოვი თავიდანვე გამოდის როგორც მოწინავე საბჭოთა  
მწერალი, რომელმაც უკვე თავის აღრინდელ მოთხრობებში დიდი  
რეალისტური ძალით ასახა სამოქალაქო ომის მოვლენები — ხალ-  
ხის დიადი ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის. მის პირველ მოთხრო-  
ბებში ასახულია დონელ კაზაკთა შორის გაჩალებული მძაფრი  
კლასობრივი ბრძოლა სამოქალაქო ომის პერიოდში. ძველი საყა-  
როს წარმომადგენლებს შოლოხოვი უპირისპირებს საბჭოთა ხელი-  
სუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლებს, უბრალო, მამაც  
ადამიანებს, რომელთაც აღაფრთოვანებს კომუნიზმის იდეა და  
რომელიც მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის იბრძვიან.

მ. შოლოხოვი გვიჩვენებს, რომ კაზაკობა მთლიანად რეაციუ-  
ლი ძალა არ იყო. „დონურ მოთხრობებში“ გადმოცემულია არა  
მარტო მდიდრებისა და ლარიბების ბრძოლა ერთმანეთთან, არამედ  
სისხლიანი დავა ცალკეულ ოჯახებშიც იქრება. იშვიათი არაა, რო-  
დესაც მამები და შვილები მოწინააღმდეგე ბანაკებში იყრიან თავს.  
უფრო ხშირად მამები ძველი ცხოვრების წესწყობილების დამ-  
ცველთა როლში გამოდიან, შვილები კი რევოლუციისათვის თავ-  
დადებული მებრძოლები არიან. ეს ორი მოწინააღმდეგე ბანაკი  
სრულიად არ ცნობს რაიმე კომპრომისსა და შერიგებას, მათ შო-  
რის მტრობა სისხლის საშუალებით წყდება. მაგალითად, მოთხრო-  
ბაში „ჭიანაჭამი“ კულაკი — მამა და მისი უფროსი შვილი ჰკლავენ  
უმკროს შვილს, კომკავშირელ სტეფანეს. მოთხრობაში „სურსათის  
კომისარი“ მხილებულია კულაკთა მტრული აგიტაცია იმის თაო-  
ბაზე, რომ კაზაკებს პურის ნაჭარბი წითელი არმიისათვის არ ჩაე-  
ბარებიანათ. ამის გამო კომისარი ბოლიაგინი, ასრულებს რა თავის  
უმაღლეს მოვალეობას რევოლუციის წინაშე, მშობელ მამასაც კი  
ხვრეტს. მას კარგად ესმის, რომ ეს უკიდურესი სიმკაცრეა, მაგრამ  
სხვა გამოსავალს ვერ ხედავს — ამას მოითხოვს რევოლუციის  
ინტერესები. ავტორი აქვე ასახავს შოღიაგინის ორმა აღამიანურ

გრძნობას, მის ჰუმანურ განცდებს. ბოლოს, ბოლიაგინი თავს შესწირავს სუსხიან ყინვაში გზაზე დამზრალი ბავშვის გადარჩენას.

შოლოხოვი მწვავე ბრძოლას ხედავს ღარიბთა ოჯახებშიც. მხრივ დამახასიათებელია შემდეგი: იმავე მოთხრობაში „ჭიანაჭამი“, კულაკური ოჯახის მეთაურისა და მისი წევრების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ადამიანი, კომკავშირელი სტეფანე ილაშქრებს, ხოლო მოთხრობაში „ორომტრიალი“ კრამსკოვების მთელი ღარიბი ოჯახი — მამა პოხომიჩი, მისი შვილები ეგნატე და გრიგოლი — საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა, გულმოდგინედ იცავს მას. მხოლოდ პოხომიჩის მესამე შვილი, ქვეესაული მიხეილი, რომელიც თავბრულახვეულია წოდებრივი მედიდურებით და თანაც მოსყიდულია თეთრგვარდიელთა მიერ, ბრძად ემსახურება უკანასკნელთ, დაუნანებლად ხვრეტს მშობელ მამასა და ძმას.

სოციალური ალლოთი დიდად დაჯილდოებული შოლოხოვი გვიჩვენებს, რომ ღარიბი კაზაკობა მთელი ოჯახებით გადმოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, მისი დასაყრდენი ხდებოდა კაზაკთა ხუტორში. მოთხრობაში „მოსისხლე მტერი“ შოლოხოვი, გვიამბობს, თუ როგორ იყო ხუტორი გამიჯნული ორ მოწინააღმდეგები ბანაკად. „ერთი მხრივ — ეფიმი და ხუტორის ღარიბობა; მეორე მხრივ — ეგნატე სიძით, წყლის წისქვილის პატრონი, ხუთიოდე მდიდარი და საშუალო გლეხთა ნაწილი“.

შოლოხოვის აზრით, ღარიბ კაზაკებს დასაფიქრებელიც კი აღარაფერი უნდა ჰქონოდათ იმაზე, თუ ცხოვრების რომელი გზა აერჩიათ. მათვის არსებობდა მხოლოდ ერთი გზა — გზა რევოლუციისაკენ.

ამავე დროს მწერალი გვიჩვენებს, თუ რამდენად რთული იყო ახალ ცხოვრებასთან კაზაკთა შეგუების პროცესი, რამდენად ნელა ხდებოდა მათ შეგნებაში გარდატეხა, რადგან ისინი მოცული იყვნენ წოდებრივი და კუთხური კარჩაკეტილობით („უცხოსხლი“, „მრუდე ბილიკი“).

მისდევს რა ცხოვრების სინამდვილეს, შოლოხოვი სხვადასხვანირად წარმოგვიდგენს რევოლუციისათვის და მის წინააღმდეგ მებრძოლ კაზაკებს. პირველთ ახასიათებს რევოლუციური ჰუმანიზმი, ადამიანური მომხიბლველობა, სიკეთე და გულისხმიერება, მეორეთ კი — საშინელი სისასტიკე, ველურობა და უვიცობა.

პოლქოვნიკ ჩერნოიაროვისა და ესაულ კრამსკის („ორომ-ტრიალი“), პან ტომილინის („ლაზარევის მინდორი“), ბანდიტ ფრომინის („რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავ-მჯდომარე“), კულაკ იგნატის („მოსისხლე მტერი“), კომენდანტინისიმეს („მებახებე“) სახეებში მწერალი გვიხატავს იმ კლასობრივ შტრებს, რომელთა წინააღმდეგ გამოდიან და იბრძვიან შოლოხოვის მოთხოვნების გმირები, ახალი სამყაროს აღამიანები — კომუნისტები და კომკავშირელები. ამ დადებით გმირთა სახეების გამოძერწვას შოლოხოვი აქსოვს მთელ თავის ფაქიზ სიკვარულსა და ახალგაზრდულ გრძნობას. ამ სახეებს შორის ჩვენ ვხედავთ ყოფილ მწყემსს, წითელარმიელს, სხვისი გაჭირვებისადმი უაღრესად გულისხმიერ, მაგრამ კულაკების მოსისხლე მტერს ეფიმს („მოსისხლე მტერი“), ცოდნას უზომოდ მოწყურებულ ობოლს, კომკავშირელ გრიგოლს, რომელსაც სურს თავისი ქვეყნის მნართველი გახდეს („მწყემსი“), პეტკა კრემნევს — კომკავშირული უკრედის მდივანს, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე და საშიშ დავალებებს თავის თავზე იღებს („გზა-ბილიკი“), მომხიბლავ თომა აკიმის-ძე კორშუნოვს („თავხედი“) და სხვ.

ყველა, ესენი გამსჭვალული არიან უბრალო, მშვიდობიანი, აღამიანური ცხოვრების წყურევილით, რომლისკენაც მიიღოვის მთელი მშრომელი კაზაკობა.

\* \* \*

ადრინდელი მოთხოვნები შოლოხოვისათვის დიდი პოლიტიკური და მხატვრული სკოლა იყო. უკვე ამ მოთხოვნებში ნათლად გამოჩნდა მისი ნიჭის ძირითადი თვისებები — ადამიანის ღრმა და მრავალმხრივი ასახვის უნარი, დიალოგის განსაკვითრებელი დაუფლება, ბუნების შესანიშნავი აღწერა. ყოველივე ამან განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი შოლოხოვის უდიდეს ნაწარმოებებში — „წყნარი დონი“. ამ რომანზე მწერალმა მუშაობა 1925 წელს დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ის მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და კვლავ კაზაკთა წრეში აღმოჩნდა.

ოთხტომიან რომანზე მუშაობამ, რაც თითქმის 15 წლამდე გაგრძელდა, შოლოხოვისაგან მართლაც ტიტანური შრომა და ღიღი სიმამაცე, მოითხოვა. შოლოხოვი ღრმად უნდა დაუფლებოდა წარსულის მოწინავე რუსული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას

და შემოქმედებითად აეთვისებინა საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილება.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ა. ს. პუშკინმა ასახა „კაპიტანის ქალიშვილში“ ხალხის მონაწილეობა სტიქიურ რევოლუციურ აჯანყებაში, ხოლო მ. ვ. გოგოლმა „ტარას ბულბაში“ და ლევ ტოლსტოიმ „ომსა და მშვიდობაში“ უჩვენეს ხალხის პატრიოტული ბრძოლა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ეპიკური ხაზი რუსულ პროზაში სწორედ ამ ნაწარმოებებიდან მომდინარეობს.

„წყნარ დონში“ პირდაპირ არის მითითება პუშკინსა და ლერმონტოვზე, ნეკრასოვსა და ტოლსტოიზე. გმირულ-ეპიკური გაქანება, თხრობის დრამატიზმი, რაც დამახასიათებელია გოგოლის ისტორიული მოთხრობებისა და განსაკუთრებით „ტარას ბულბასათვის“, „წყნარ დონში“ შერწყმულია რომანტიკულ ამაღლებასა და ლირიულ მღელვარებასთან. ისტორიზმისა და თხრობის ლირიზმის ორგანული შეერთება, მოვლენათა ხალხური სულისკვეთების გადმოცემა შოლოხოვის „წყნარ დონში“ წარმოსდგება როგორც დიდი რუსული ლიტერატურის და, კერძოდ, გოგოლის ტრადიციების შემოქმედებითი გააზრების შედეგი.

ისე როგორც „კაპიტანის ქალიშვილისა“ და „ტარას ბულბას“ ავტორები, შოლოხოვი თავისი ნაწარმოებების ცენტრში ხალხს აყენებს, მაგრამ შოლოხოვი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის გვიჩვენებს სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ახალ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, როდესაც ხალხი უკვე ისტორიის შეგნებულ შემოქმედად გამოდის. სწორედ ეს კონკრეტულ-ისტორიული პირობები განსაზღვრავენ სოციალისტური რეალიზმის ეპოქეის თავისებურებას.

როგორც გოგოლი, შოლოხოვი ცალკეული პიროვნების ბედს ხალხის ბედს უკავშირებს, მაგრამ საბჭოთა მწერალი უფრო ღრმად გადაგვიშლის პიროვნების ხასიათს ისტორიულ ვითარებასთან ორგანულ კავშირში. სწორედ ეს კავშირი განსაზღვრავს პიროვნების ბედს. ამ მხრივ შოლოხოვი მ. გორკის მისდევს, რომელმაც პირველად მოგვცა სინამდვილის რევოლუციურ ვითარებაში ასახვის ნიმუშები.

შოლოხოვი ითვისებს ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედების ძლიერ მხარეებს — საზოგადოებრივი სიყალბისა და ფარისევლობის

წინააღმდეგ გალაშქრებას, ყველაზე უფრო „ფხიზელ რეალიზმს“. საბჭოთა მწერალი ტოლსტოისაგან სწავლობს მაღალ მხატვრულ ოსტატობას, ადამიანის შინაგანი ცხოვრების როგორც რთულ, ისე ოდნავ შესამჩნევ მოვლენათა ასახვის უნარს.

მ. შოლოხოვი თავისი შემოქმედებით დაკავშირებულია ა. პ. ჩეხოვთანაც. მათ აკავშირებს ჩვეულებრივი ცხოვრების მომხიბლავი უბრალოების ასახვა. „წყნარი დონის“ ავტორი დიდი მხატვრისაგან მინდვრის პეიზაჟის სილამაზისა და პოეზიის გამოვლინების უნარს სწავლობს. ორიგე მწერალმა კარგად დაინახა და გადმოსცა გარეგნული უბრალოებითა და ერთფეროვნებით მოცული მინდვრის ცხოვრება და პოეზია, მათ შეიგრძნეს მინდვრის სურნელოვნება, დაინახეს მისი თავისებური ფერები, იხმეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ბეგერები.

შოლოხოვისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის მ. გორქის შემოქმედებას. თავის ისტორიულ ეპოქაში „კლიმ სამგინის ცხოვრება“ მაქსიმ გორქიმ ნათლად წარმოადგინა რევოლუციამდელი სინამდვილის გრანდიოზული პანორამა, განიხილა ისტორიის გარდუვალი მსვლელობა. მ. გორქიმ, ერთი მხრივ, დაუზოგავად გამოავლინა სამგინების სოციალური არსი, მათი ინდივიდუალიზმი, ხალხისაგან მოწყვეტილი ბურუუზიული ინტელიგენციის მორალური სიცარიელე და ულირსი დაღუპვა, მეორე მხრივ კი მძლავრად აღიარა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხთა მასების შეგნებულ და აქტიურ ბრძოლაზე კანონზომიერი გადასვლა.

შოლოხოვის „წყნარი დონის“ გამოქვეყნებამდე საბჭოთა ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფურმანოვის „ჩაჲაევი“ (1923), სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“ (1924), ფადევის „განადგურება“ (1927). ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შოლოხოვისათვის.

\* \* \*

„წყნარი დონი“ დონელ კაზაკთა წარსული ცხოვრების ამსახველი დიდი ეპიკური ნაწარმოებია. მასში ფართოდაა წარმოდგენილი რევოლუციის გზით კაზაკთა სკლა და ამასთან დაკავშირებით მათ შორის გაჩალებული დაძაბული კლასობრივი ბრძოლა. მკითხველი ლრმად აწმუნდება, რომ მშრომელ კაზაკობას მხოლოდ და შხოლოდ სოციალიზმის გზა უნდა აერჩია.

აღწერილის უკეთ გაგებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ დონელი კაზაკობა ისტორიულად XVI საუკუნის პირველ  
ნახევარში ჩამოყალიბდა. იგი იზრდებოდა აუტანელი ფეოდალური  
ჩაგვრის გამო რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან გამოქცეულთა  
ხარჯზე. მდინარე დონის წარმტაც ნაპირებზე იქმნებოდა კაზაკთა  
პატარა „ქალაქები“, რომელთა მცხოვრებნი ჭერ თევზის ჭერას,  
ხოლო შემდეგ ხვნა-თესვას მისდევდნენ. ამას გარდა კაზაკები  
ცხენოსანთა და ქვევითთა რაზმებში ერთიანდებოდნენ, და თავიან-  
თი წრიდან ატამანებსა და ესაულებს ირჩევდნენ, რომელთა მეთაუ-  
რობით მშობლიური ქვეყნის საზღვრებს იცავდნენ.

მართალია, გარეგნულად რაზმების შექმნა დემოკრატიულ  
საფუძველზე ხდებოდა, მაგრამ დონელი კაზაკობა თვით მისი ჩამო-  
ყალიბების პერიოდშიც კი სოციალურად ერთფეროვანი არ ყოფი-  
ლა. გამოქცეული გლეხები დამოკიდებული ხდებოდნენ მდიდარი  
კაზაკებისაგან, რომელნიც ადრე დაპატრონებოდნენ საუკეთესო  
მიწებსა და საძოვრებს. ეს კი იწვევდა ექსპლოატირებულთა აჯან-  
ყებებს. ჩაგრულმა კაზაკობამ XVII — XVIII საუკუნეებში აქტიუ-  
რი მონაწილეობა მიიღო ვასილი უსას, სტეფან რაზინის, კონდრატ  
ბულავინისა და ემელიან პუგაჩივის გამოსვლებში.

დროთა განმავლობაში დონის მცხოვრებთა შორის კლასო-  
ბრძევი ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდებოდა. განსაკუთრებით  
აღსანიშნავია, რომ მეფის მთავრობა კაზაკობიდან თავისებურ  
სამხედრო ფენას ქმნიდა და, მდიდარ კაზაკთა მომადლიერებისა  
და მოსყიდვის საშუალებით, მასში მთელი სამი ასეული წლის  
განმავლობაში „მეფისა და მამულისადმი“ ბრძა ერთგულებას  
ნერგავდა. კაზაკთა ძირეულ ფენას არწმუნებდნენ, რომ თითქოს ის  
„მაღალი ღირსების“ იყო; ზომებს იღებდნენ იმისათვის, რომ გაე-  
ლვივებინათ სიძულვილი კაზაკთა და არაკაზაკთა შორის („ინო-  
გოროდნიე“ — სიტყვასიტყვით: „სხვაქალაქელები“); ყოველნაი-  
რად ხელს უწყობდნენ წოდებრივი ღირსების კულტის განმტკიცე-  
ბას, ხოლო სხვადასხვაგვარი ცრუ ზნე-ჩვეულებები ამკვიდრებდა  
სრულ გაუნათლებლობას, ანელებდა კლასობრივ ბრძოლას. ამის  
გამო კაზაკობის საგრძნობი ნაწილი დიდი ხნით დაცილებული  
იყო იმ რევოლუციურ იდეებს, რომლებიც რუს ხალხს აღელვებდა.

ვ. ი. ლენინი პირდაპირ მიუთითებდა, რომ კაზაკთა შორის

შენარჩუნებული იყო მეურნეობისა და ყოფაცხოვრების განსაკუთრებით ბევრი შუასაუკუნეობრივი ნიშანი.

მაგრამ ეს მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება რუსეთში ციტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ხდება ღონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების განმტკიცება. მათი წარმომადგენლები მიღიან კაზაკთა სტანიცებსა და ხუტორებში და ავრცელებენ იქ ბოლშევიკურ ფურცლებს, რითაც ხელს უწყობენ კაზაკობის რევოლუციური შეგნების ზრდას.

რუსეთის პირველი რევოლუციის ამბებმა დოდად შეარყია კაზაკთა ერთგულება ცარიზმისადმი. ისინი მთელი რაზმებისა და გაერთიანებათა სახით უარს ამბობდნენ აჯანყებული მუშებისა და გლეხების დაშოშმინებაზე.

შემდგომში კომუნისტურმა პარტიამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი მუშაობა კაზაკთა შორის, ის დაეხმარა მათ კუთხური კარჩაკეტილობის დაძლევაში, ცდილობდა გამოეგლიჭა ცარიზმისათვის ეს ცენტრალიზებული ძალა, რომელსაც თვითმპყრობელობა იყენებდა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ყველაფერი ძირიანთესვიანად იცვლება, მშრომელი კაზაკობა მტკიცედ გადმოდის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. სწორედ ეს მოვლენა ასახა შეუდარებელი იდეური და მხატვრული ძალით მ. შოლოხოვმა თავის „წყნარ ღონში“.

„წყნარი ღონის“ ცენტრალური ფიგურაა გრიგოლი მელეხოვის სახე, მაგრამ ეს სახე როდი ამოსწურავს ნაწარმოების ძირითადი იდეას. მელეხოვის ბედი სავსებით დამოკიდებულია ხალხის საერთო ბედზე. რომანის მთავარი გმირი ხალხია.

ნაწარმოების პირველსავე თავებში შოლოხოვი, ყვება მელეხოვის ოჯახის ისტორიას და შლის პირველ სიუჟეტურ ხაზს — აქსინიასაღმი გრიგოლის სიყვარულსა და ნატალიაზე დაქორწინებას. ამასთან დაკავშირებულია მეორე სიუჟეტური ხაზი, რომელიც შეიცავს კაზაკთა კლასობრივად დაყოფის ფართო სურათს და მათი სხვადასხვა სოციალური განუფის გზეს რევოლუციის წლებში. ამით განისაზღვრება რომანში წარმოდგენილი გმირების ურთი-

<sup>1</sup> ვსარგებლობთ სპეციალური ნაშრომით — Яковенко, И. „Тихий дон“ М. Шолохова „О мастерстве писателя“, М. 1954.

ერთობა. საოჯახო და საყოფაცხოვრებო სფეროდან მწერალი დიდ საზოგადოებრივ მოვლენათა ასახვაზე გადადის. მეორე წიგნში შეუდარებელი ძალით არის წარმოდგენილი იმპერიალისტური ომით ხალხის უკმაყოფილება. შოლოხოვს გაბედულად გადააქვს თხრობა ერთი ფრონტიდან მეორეზე, უხვად იყენებს ისტორიულ დოკუმენტებს, გვიხატავს მასობრივ სცენებს.

მესამე წიგნში ხალხის ულმობელი ბრძოლა თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ დაძაბულობის უკანასკნელ მცხვნას აღწევს. თავისი კულმინაციის შემდეგ მოქმედება მეოთხე წიგნში თანდათანობით კვანძის გახსნას უახლოვდება. მოვლენები ასახულია 1922 წლის დეკემბერი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დონზე სავსებით იმარჩვებს.

მწერალი აღწერს დონელი კაზაკების ყოფაცხოვრებას, მათ ტრადიციებსა და ზნეჩეულებებს, აკვირდება მელექოვების ოჯახების ურთიერთობას ხუტორთან და ყურადღებას ამახვილებს კაზაკთა ოჯახების სხვადასხვა სოციალურ მდგომარეობაზე. ჩვენ ვხედავთ ერთი მხრივ ხალხის ბოროტ მტრებს — კულაკ კორშუნოვებს, აზნაურ ლისტნიცებს, ვაჭარ მოხოვებს და მათ ბანაჟში მყიფ სასულიერო წოდების წარმომადგენლებს, ხუტორის გაპარტახებულ „ინტელიგინციას“, თეთრგვარდიელთა გენერლებსა და კაზაკთა ოფიცირებს; მეორე მხრივ გვევლინებიან მოჯამაგირე კოშევოი, კაზაკი კოტლიაროვი, ვალეტი, დავიდკა, რევოლუციური კაზაკობის წარმომადგენლები პოდტიოლქოვი, კრივოშლიკოვი, კომუნისტი მუშები შტოკმანი, ბუნჩუკი, ანა პოგუდკო, ლარიბი გლეხები, და ქალაქის პროლეტარები.

„წყნარ დონში“ ნათლად არიან წარმოდგენილი ხალხის ინტერესების თავდადებული დამცველი კომუნისტების სახეები. ამ შემთხვევაში შოლოხოვი მიჰყვება გორკისა და ფადეევის ტრადიციებს.

მუშა-კომუნისტ შტოკმანის სახით მოცემულია მაღალი კომუნისტური შეგნება, სოციალიზმის გამარჯვების ორმა რწმენა, მასებთან მჭიდრო კავშირი, უბრალოება და თავმდაბლობა.

მწერალი გვიჩვენებს შტოკმანის სოციალურ არსების და დაწვრილებით მოგვითხრობს მის წარსულს. შტოკმანი დაბადებულია მუშის ოჯახში. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა როსტოვის ერთ-ერთ დიდ ქარხანაში და ყუბანის რკინიგზის სახე-

ლოსნოებში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის პირ-  
ველ რევოლუციაში, ბევრჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლე-  
ბული. ბოლოს, როგორც გამოცდილი კომუნისტი, პარტიამ შტოკ-  
მანი მიავლინა მეტად ძნელ უბანზე — კაზაკ მოსახლეობაში სამუ-  
შაოდ. აյ ის იჩენს ღრმა რწმენას, თანმიმდევრობასა და ძლიერ  
ნებისყოფას. კაზაკებზე მისი ზეგავლენა ემყარება საბრძოლო ამო-  
ცანების ნათელ შეგნებას. შტოკმანი მაღალი კულტურის კომუნის-  
ტია. მან კარგად იცის ხალხის ისტორია, მარქსისტული მეცნიე-  
რება, რუსული ხელოვნება. ის ხუტორ ტატარსკოის კომუნისტების  
ამხანაგი და დამრიგებელია. შტოკმანი კოტლიაროვს ასწავლის  
რომ ის მტრების მიმართ პრინციპული და თანმიმდევრი უნდა  
იყოს („ან ისინი ჩვენ, ან ჩვენ მათ! მესამე გამორიცხულია“).

შტოკმანი გაბედულად და დამარტიმუნებლად იბრძვის მშრო-  
მელი კაზაკობის გადმოსაყვანად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე;  
„მშრომელმა კაზაკებმა მხოლოდ ჩვენი გზით უნდა იარონ“, —  
ამბობს ის.

თავისი მოქმედებით, მსჯელობითა და მრავალმხრივი ცოდნით  
შტოკმანი წარუშლელ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს  
რევოლუციურად განწყობილ კაზაკთა შორის.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ვალეტის საუბარი კოტლიაროვ-  
თან. ერთიც და მეორეც დიდად უკავიყოფილონი არიან ფრონტზე  
ყოფნისას იმპერიალისტური ომით, მაგრამ მათთვის ბევრი რამ ჭერ  
გაუგებარია. სწორედ ამ დროს ისინი გულობილად იხსენებენ ბოლ-  
შევიკ შტოკმანს და ერთსულოვნად გამოთქვამენ იმ აზრს, რომ  
იგი მათ ყველაფერს კარგად აუხსნიდა.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნისტ გარანტის ეპიზო-  
დური სახე. გამოჩნდება თუ არა რომანში, ის უმაღვე გაქრება, მაგ-  
რამ იგი, როგორც შოლოხოვის თითქმას ყველა სახე, მძლავრად  
იყრება მეხსიერებაში. გარანტი იგრძნობა ჰალხის წრიდან გამო-  
სული გამოცდილი ბოლშევიკი-აგიტატორი. უბრალო ჯარისკაც  
გარანტის, რომელიც ადრე მჭედლად მუშაობდა უკრაინაში. შეუ-  
ძლია ძალიან იოლი, გასაგები ფორმით გადასცეს მეტად რთული  
და მნიშვნელოვანი აზრები. მისი მჭევრმეტყველება უხვად არის  
ვაჟლენთილი ხალხური ანდაზებითა და თქმულებებით.

თავისი სათნო არსებით, აღფრთოვანებული ბრძალით ხალხის

საუკეთესო მომავლისათვის, ღრმა ოპტიმისტური განწყობის გა-  
რაცია არწმუნებს გრიგოლ მელექოვს უკანასკნელისათვის უცნობ  
ჰეშმარიტებათა სამართლიანობაში.

გარანტია დარწმუნებულია, რომ იპერიალისტური ომი გააღვი-  
ძებს ხალხთა მასებს, გაანათებს მათ ჟეკებას და ისინი იარაღს  
ბურუჟუაზისა და ცარიზმის წინააღმდევ მიაბრუნებენ.

სანგრებში კაზაკთა შორის მუშაობდა ბოლშევიკი ილია ბუნ-  
ჩუკი. მის პორტრეტში შოლოხოვი შეუპოვარ ძალას აღბეჭდვს.  
ბუნჩუკი თავის დროზე გაბედულად ამხილებდა კორნილოვების  
განზრავებს, აქტიურად მონაწილეობდა დონზე წითელგვარდიელ-  
თა რაზმების შექმნაში.

ანა პოგუდის სახით წარმოდგენილია შესანიშნავი რევოლუ-  
ციონერი ქალი, რომელიც პრინციპულობასა და თანმიმდევრობას  
იჩენს როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში. მწერალი  
ფაქტზე ხატვს ბუნჩუკისაღმი მისი გრძნობის ზნეობრივ სისპე-  
რაკესა და უმანკოებას. პოგუდკო და ბუნჩუკი გმირულად ილუპე-  
ბიან რევოლუციის დასაცავად.

უკვე ჩამოყალიბებულ კომუნისტებთან ერთად, შოლოხოვი  
თავის რომანში ასახავს აგრეთვე სხვა კომუნისტების წარმოშობა-  
საც დონზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

მათ რიცხვს მიეკუთვნება შტოკმანის მიერ აღზრდილი კაზაკი  
კომუნისტი კოტლიაროვი, რომელიც ცხოვრების მეტად მძიმე და  
რთულ გზას გადის. მისი რევოლუციური შეგნება იმპერიალისტურ  
და სამოქალაქო ომებში მონაწილეობის პროცესში იზრდება. და-  
სძლევს რა თავის შეცდომებს, ის ხუტორის რევკომის თავმჯდო-  
მარე ხდება და გარს იკრებს ლარიბ კაზაკებს. კოტლიაროვი თავის  
თავს ჰქიცხავს იმის გამო, რომ მან მტრისადმი ლომბიერება გამო-  
იჩინა. „დანანება კი არა, ბოლომდე მიყოლა და განადგურება იყო  
საჭირო“, — ამბობს კოტლიაროვი. მწერალი გვიჩვენებს მის სუ-  
ლიერ სიმტკიცეს სიკვდილის წინ, მის რწმენას იმ საქმის გამარ-  
ჩვებისადმი, რომლისთვისაც იგი სიცოცხლეს სწირავს.

კოტლიაროვი თავის ამხანაგებს მიმართავს: მათთალია, მათ  
ახლა სასტიკად დასჭიან, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამხო-  
ბას ვერავინ შეძლებს. „კომუნისტებო! ძმანო! დავიხოცოთ ისე,  
რომ მტრებმა ჩვენზე არ გაიცინონ!“ — დაასკვნის კოტლიაროვი.

ამ გმირის სახით წარმოდგენილია რევოლუციისადმი ურყევი ერთ-  
გულება, რევოლუციური მოვალეობის გრძნობა, დიდი აღამიანობა  
და სათნოება. იგივე ახასიათებს „წყნარ დონში“ გამოყვანილ ყვე-  
ლა კომუნისტს.

პრინციპული, თანმიმდევარი და მგზებარე კომუნისტია მი-  
ხეილ კოშევოი. ჭერ კიდევ ჰაბუკობიდან ის მიიღო ტვოდა სიმართ-  
ლისაკენ და, შევიდა რა შტოკმანის წრეში, დიდი სურვილი აღეძრა  
გაეგო დონელი კაზაკობის სოციალური წარსული.

მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა ამ უბრალო  
ახალგაზრდა კაზაკის ქლასობრივი შეგნება. იგი მას უპირისპირებს  
მისივე ასაკის გრიგოლ მელექოვს, რომელიც სრულიად დაიბნა  
თავის ძიებებში, ვერ პოვა ცხოვრების სწორი გზა.

ჭერ კიდევ იმპერიალისტური ომის წლებში კოშევოი მიხვდა,  
რომ სიმართლე ხალხის მხარეზეა. მაშინ მან კაზაკთა ნაწილებში  
არალეგალური სააგიტაციო მუშაობა გააჩაღა. იგი გამოდიოდა  
ჭერ იმპერიალისტური სასაკლაოს და, შემდეგ, აჯანყებულ კაზაკთა  
წინააღმდეგ.

კოშევოის ხასიათი მეღავნდება მის ქცევა-მოქმედებაში დონზე  
საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესში.  
კოშევოი ნაჩვენებია როგორც ცხოვრების ბატონ-პატრონი, რო-  
გორც მშრომელი კაზაკობის ტიპიური წარმომადგენელი, რომელ-  
მაც სწორი გზა რევოლუციაში დაინახა.

„წყნარ დონში“ შოლოხოვის მიერ დახატულ სახეთა შორის  
არიან აგრეთვე რეალური ისტორიული პირებიც, რევოლუციური  
კაზაკობის ხელმძღვანელები — დონის რევკომის თავმჯდომარე  
ფიოდოსი პოდტიოლქოვი და მისი თანაშემწე მიხეილ კრიგო-  
შლიქოვი.

განსაკუთრებით შიმე თლებში, როდესაც თეთრგვარდიელები  
როსტოვს უახლოვდებოდნენ, სეგანგებო კომისრის ს. ორჯონიკიძისის  
ბრძანებით პოდტიოლქოვი სათავეში უდგება სამობილიზაციო  
კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა კაზაკობა ბრძოლაში  
ჩაება საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, და როდესაც პოდტიოლ-  
ქოვი თეთრგვარდიელის ხელით იღუპება, ის მაინც არ კარგავს  
რევოლუციის გამარჯვების იმპოს. თვით სახრჩობელის წინ პოდ-  
ტიოლქოვი მამაცად უხსნის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ

აჭანყებულ კაზაკებს, რომ ისინი შემცდარი არიან: „ახლა თქვენ გვხვრეტთ ჩვენ, ხვალ კი ჩვენი რიგი იქნება! საბჭოთა ხელისუფლება მთელ რუსეთში დამყარდება. ი, დაიმახსოვრეთ ჩემი სი-ტყვები“, — დაასკვნის პოდტიოლკოვი.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანის პირველ გამოცემებში პოდტიოლკოვი გამოყანილი იყო მხოლოდ როგორც დონის მოსახლეობის კაზაქთა ნაწილის ინტერესების დამცველი; ის მოუწოდებდა, რომ მიწა განაწილებულიყო მხოლოდ კაზაქთა შორის. ამავე დროს შოლოხოვი პოდტიოლკოვს მიაწერდა მედიდურობასა და რიგითი კაზაკებისადმი უხეშობას. უარყოფითი ნიშნებით ხასიათებოდა პოდტიოლკოვი პირად ცხოვრებაშიც.

კრივოშლიკოვს კი შოლოხოვი ხატავდა „მეოცნებედ და პოეტად“. არასინდისიერი მემუარისტების მიერ შეცდომაში შეყვანილი მწერალი ხაზს უსვამდა არა მის რევოლუციურ მოქმედებას, არამედ მალარიით დავადებული ადამიანის მოდუნებულობასა და პასიურობას.

ი. ბ. სტალინი თავის წერილში თ. კონისადმი, აძლევდა რა საერთოდ მაღალ შეფასებას „წყნარ დონს“, მიუთითებდა იმაზე, რომ შოლოხოვმა პოდტიოლკოვისა და კრივოშლიკოვის ასახვაში მთელი რიგი შეცდომები დაუშვა და პირდაპირ არასწორი ცნობებიც კი გამოიყენაო.

ყოველივე ეს მწერალმა მხელველობაში მიიღო და რომანის 1953 წლის ახალ გამოცემაში სათანადო შესწორებები შეიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში ბევრი გვირი-კომუნისტი იღუპება (ლაგუტინი, ბუნჩუკი, ანა პოგუდი, პოდტიოლკოვი, კრივოშლიკოვი, შტოკმანი, კოტლიაროვი), ისინი მაინც არასოდეს არ კარგავენ ხალხის ბრწყინვალე მომავლის რწმენას. მწერალი განამტკიცებს იმ იდეების უკვდავებას, რომლებისთვისაც კომუნისტები სიცოცხლეს სწირავენ.

რომანის ერთ-ერთი ცენტრალური გმირის — გრიგოლ მელქოვის ბედს შოლოხოვი გადაშლის ფართო ისტორიულ ფონზე, სადაც მთავარია ხალხის მასების მოძრაობა და განვითარება.

ჭერ კიდევ ომადე კაზაკი გრიგოლ მელქოვი მამის ოჯახს ტოვებს და მოჯამაგირეობას იწყებს გენერალ ლისტნიცკისთან. აქედან ის მიდის ჯარში, მონაწილეობს საომარ მოქმედებაში.

ფრონტზე მელეხოვი თავს ისახელებს როგორც მამაცი მეო-  
მარი, კარგი ამხანავი; იგი თავგამოდებით იცავს კაზაკურ ღირსე-  
ბას და განუხრელად ასრულებს თავის მოვალეობას ბრძოლაში.

მაგრამ რამდენადაც გრიგოლი მეტ სისტლს, საშინელებასა და  
ტანჯეას ხედავს ფრონტზე, იმდენად უფრო მეტად ღრღნის მის  
სულს გაუგებრობა. ეს გაუგებრობა იზრდება, ბოლოს ეჭვს ბა-  
დებს, ეჭვი კი იწვევს კითხვას: „რისთვის ვომობთ?“

ჭრილობის გამო გრიგოლი ჰოსპიტალშია მოთავსებული. აქ  
ის ხვდება გარანტეას; ეს უკანასკნელი მასზე დად გავლენას ახდენს.  
გრიგოლის მანამდე გაუფორმებელი აზრები და განწყობილება  
ამის შემდეგ გარკვეულ მიმართულებას იღებს, გრიგოლი „მოუ-  
სვენარი“ კაზაკი ხდება. მაგრამ ეს ეჭვიანობა და სოციალური სი-  
მართლის ძიებანი მალე ადგილს უთმობენ ძველ კაზაკურ შეხე-  
დულებებსა და ზენ-ჩვეულებებს.

გრიგოლი კვლავ უბრუნდება ფრონტს, მაგრამ ის უჭვე სულ  
სხვა ადამიანია.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში გრიგოლის პო-  
ზიცია ხასიათდება მისი ეჭვიანობისა და მერყეობის გაძლიერებით,  
რაც თანდათანობით კიდევ უფრო ღრმავდება და შემდეგ მწვევე  
განცდაში გადადის. მელეხოვი გრძნობს თავისი ბედის უბადრუ-  
კობას, ცხოვრებაში გზადაბნეულობას.

თებერვლის რევოლუციის პერიოდში მელეხოვი მოჰყვება კონ-  
სერვატული კაზაკობის წარმომადგენლის, აშეარა ნაციონალისტის,  
ასეულის მეთაურ ეფიმე იზვარინის გავლენის ქვეშ. მაგრამ ამავე  
დროს მას რაღაც ფარული ცნობისმოყვარეობა პოდტიოლკინისა-  
კენ, ბოლშევიკებისაკენ იზიდავს.

სამოქალაქო ომის დასაწყისში გრიგოლმა, როგორც მის შესა-  
ხებ იზვარინი ამბობს, „წითელი რწმენა მიიღო“. ის იბრძოდა პოდ-  
ტიოლკოვსა და კრივოშლიკოვთან ერთად, მაგრამ წითლებთან მი-  
სი ყოფნა ხანმოკლე აღმოჩნდა, მას არ ჰყოფნილა თანმიმდევრობა,  
ის ვერ ურიგდებოდა მტრისადმი სიმკაცრეს, განიცდიდა რაღაც  
სულიერ მღელვარებას. გრიგოლს „სძლევდა ფიქრი, ის გულით  
ცივდებოდა“, მას ემჩნეოდა სულიერი დაოლილობა, ეძებდა სი-  
წყნარესა და მოსვენებას, სურადა სრულიად ჩამოშორებოდა ყო-  
ველივე იმას, რაც მძულვარებით ბობოქრობდა, მიეტოვებინა

მტრულად განწყობილი სამყარო და მოსვენებულ შრომითს ცხოვ-  
რებას მისცემოდა. გრიგოლს იზიდავდა მიწა, მეგუთნის მშვიდო-  
ბიანი შრომა, მაგრამ ამის საშუალება მისთვის მაშინ სრულიად  
გამორიცხული იყო.

დონწე კლასობრივი ბრძოლა მწვავდებოდა. „ბარიერების ზე-  
ვით“ დადგომა, ბრძოლისათვის გვერდის ავლა აღარ შეიძლებოდა.  
თვით ცხოვრება გადაჭრით მოითხოვდა ან ერთი ან მეორე ბანაკი-  
საღმი მიმხრობას. გრიგოლი, რომელიც მშობლიურ სტანიცას  
უბრუნდება, საკუთარ ოჯახში მოდის, პვლავ კაზაკურ შეხედულე-  
ბასა და წესებს იზიარებს, მაგრამ ის „თავისიანებთანაც“, კაზაკთა  
შორის, ჯერ ვერ სარგებლობს „ლირსებით“, მას მოხუცებულები  
უნდობლობას უცხადებენ („ბოლშევიკებთან იყოო“), არ ნიშნავენ  
რაზმის უფროსად („რიგოსნად იყოს, სჯობს გრიშკამ ჭოგს მოუა-  
როს“). ხოლო მოგვიანებით ის მაინც ზემო დონის აჯანყებულთა  
ვიოშენსკის პოლკის მეთაურად გვევლინება. მაგრამ ახლაც გრი-  
გოლს არ შორდება ეჭვიანობა და მერყეობა. ვის მხარეზეა, ვის  
ებრძვის, დგას თუ არა სწორ გზაზე, იცავს თუ არა მას, ვისაც უნ-  
და იცავდეს? — აი რა კითხვები არ აძლევს მოსვენებას მელექოვს.

ბოლოს, ავტორი იშვიათი დამარწმუნებლობით გვიჩვენებს  
გრიგოლის შეგნებაში ახალ გარდატეხას. გრიგოლი საბოლოოდ  
შორდება თეთრგვარლიელებს და გადადის წითელი არმიის რიგებ-  
ში, სადაც ის თავგანწირულად იბრძვის, რათა თავისი ადრინდელი  
ცოდვები „გამოისყიდოს“.

ვადაზე ადრე დემობილიზებული გრიგოლი მშობლიურ ხუ-  
ტორს უბრუნდება. სახლსა და კარ-მიდამოში მას სრული სიცარიე-  
ლე ხვდება, ამიტომ ის კოშევოის ეუბნება: „მე ყველაფერი მომ-  
ბეზრდა: რევოლუციაც და კონტრრევოლუციაც... ყველაფერი  
წყალს წაულია, მინდა ვიცხოვორ ჩემი პატარა შვილების გვერდით,  
ხელი მოვკიდო მეურნეობას, აი მთელი ჩემი ნატვრა“.

დაქანცული, ეჭვებით გათანგული გრიგოლი გრძნობს თავის  
გარტოობას, გრძნობს, რომ ის სრულიად უცხოა ახალი კაზაკობისა-  
თვის. მას უკვე აღარ გააჩნია არც რწმენა, არც ცეცხლი, არც  
ძალ-ღონე იმისათვის, რომ საქმეს ხელი მოჰკიდოს, ახალ ცხოვრე-  
ბას შეუდგეს. ის ქვლავ ტოვებს ხუტორს, აპყვება ყაჩალებს, მიუ-  
ხედავად იმისა, რომ ესმის მათი განწირულობა. ბოლოს ის სავსე-

პით ეცემა მორალურად. ასეთია მელეხოვის უღირსი დასასრული, როც ისტორიული პროცესის წინააღმდეგობათა შეჯახების შედეგი.

რევოლუცია, რომელსაც მელეხოვმა უღალატა, აღარ საჭიროებდა, რომ იგი მას „მიეღო“.

მელეხოვის ცხოვრების დასასრული ნათლად შეტყველებს, რომ ვინც თავის ხალხს ჩამოშორდება, ის თვით ცხოვრებისაგან დაისჯება უმოწყალოდ.

„წყნარი დონის“ ფურცლებიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან შესანიშნავი ქალების სახეები: გაბედული და ამაყი აქსინია, თავ-მდაბალი და შრომისმოყვარე ნატალია, გონიერი და დიდებული ილინიჩნა, წარმტაცი და სიცოცხლით სავსე დუნიაშკა.

ყველა ამ სახის გამოძერწვისას კვლავ იჩენს თავს შოლოხოვის შეუდარებელი მხატვრული ნიჭი. ეყრდნობა რა კლასიკურ ლიტერატურის ტრადიციებს, შოლოხოვი განსაცვითრებელი ძალით ასახვს ბუნებით დიდად დაჯილდოებულ, ხალხის წრიდან გამოსულ გლეხ მშრომელ ქალებს.

გრანდიოზული ბრძოლის ფონზე შოლოხოვი მკვეთრი და ძლიერი ხაზებით აქანდაკებს დიდად მომხიბლავ, გარეგნული და შინაგანი სილმაზით უხვად დაჯილდოებულ აქსინის სახეს. მწერალი გვიხატავს მის „ცეცხლიან შავ თვალებს“, ოდნავ აბურცულ ფუნთუშა ტუჩებს, ჩამკვრივებულ მხრებს, მოყვანილ შავგვრემან კისერზე „პაშია ბუსუსიან კულულებს“.

აქსინია ბავშვობიდანვე განიცადა ცხოვრების სიმწარე. როგორც კი წამოიზარდა, ის მიათხოვეს იხეთ კაცს, რომელიც მას სრულიად არ უყვარდა. ამიტომ აქსინიას არსებობა კიდევ უფრო გაუარესდა, უფერული და უსიხარულო გახდა. მაგრამ ის არ დაემორჩილა თავხედ ქმარს, ცდილობდა გამოსავალი ეპოვა თავისი მძიმე მდგომარეობიდან. და აი, მას მოეწონა გრიგოლ მელეხოვი. პირველად აქსინიას შეეშინდა ამ ახალი გრძნობისა, მაგრამ ეს შიში მალე დასძლია და თვითონვე მიაშურა გრიგოლს. ამის შემდეგ ის მთლიანად გამოიცვალა. სიყვარულმა აქსინია წელში გამართა, იგი ამაყად დადიოდა და იმდენად ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ხალხსაც კი აღარ ერიდებოდა. აქსინიასათვის გრიგოლისაღმი სიყვარული ერთადერთი პროტესტი იყო თავისი აუტანელი მდგრადეობის წინააღმდეგ.

ის ძალიან გაბედულად და გადაჭრით იბრძვის ამ სიყვარულის  
შენარჩუნებისა და განტკიცებისათვის. აქვთ მზად არის სი-  
ცოცხლეც კი შესწიროს თავის გრძნობას. მას სურს მოპოვებული-  
სიყვარულით გადაჭთაროს მთელი თავისი შავბნელი წარსული-  
„გრიშა ჩემია, ჩემი!“ — ამბობს ის და ამაში იგრძნობა მისი უმტკი-  
ცესი ნებისყოფა, ღრმა სულიერი ძალა და ბედნიერებისადმი  
უსაზღვრო მისწრაფება.

მაგრამ შოლოხოვი აქვთ ინტიმური ცხოვრების სფეროთი  
როდი კმაყოფილდება. ის მას სახავს, როგორც ენერგიით აღსავსე  
მშრომელ ქალს. მასზეა დამოკიდებული ოჯახის მთელი მეურნეობა—  
აქვთ ის სიხარულითა და მუყაითად შრომობს მინდვრად და შინ.

გამბედაობა და ნებისყოფის დიდი ძალა აქვთ პიროვნებაში  
უერთდება სხვისი განცდისადმი იშვიათ გულისხმიერებას; გულკე-  
თილობასა და გრძნობათა მთლიანობას.

აქვთ თავისუფლებისმოყვარე რუსი ქალია. მართალია, ის  
მონაწილეობას არ იღებს რევოლუციურ ბრძოლაში, მაგრამ მისი  
ბედი მთლიანად დამოკიდებულია ამ ბრძოლის დასასრულზე. აქვთ  
თავისებურად და საკუთარ ძალთა დიდი დაძაბვით ეძებს გზას  
ახალი, უკეთესი ცხოვრებისაკენ. იგრძნობა, რომ მას ამის იმედიც  
აქვთ.

რაც უფრო მეტად მწვავლება ხალხის ბრძოლა ძველი სამყა-  
როს წინააღმდეგ, მით უფრო მეტად ღელავს აქვთ იმ ადამიანის  
ბედ-იღბლის გამო, რომელსაც ის სამუდამოდ დაუკავშირდა და  
რომელზედაც მთელი თავისი მომავალი დაამყარა. აქვთ დიდი  
თავგანწირულობით იზიარებს მელეხოვის ცხოვრების ყველა სიძნე-  
ლესა და გაჭირვებას. ის მას სრულიად დაუფიქრებლად მიჰყვება  
გაურკვევლობისაკენ, სადაც მისთვის რაღაც მოჩვენებითი ბედ-  
ნიერება „ისახებოდა“. ბოლოს კი ეს შესანიშნავი ქალი იღუპება  
იმასთან ერთად, ვინც სოციალური გზადაბნეულობის მსხვერპლი  
ხდება.

თითქმის ასევე ტრაგიკოლია და დამახინჯებული ნატალიას  
ცხოვრება. ნატალია დიდი ზნეობრივი სიშმინდისა და ღრმა გრძნო-  
ბის ადამიანია. აქვთ ისაგან განსხვავებით, მას ძლიერ უყვარდა  
თავისი ქმარი — გრიგოლ მელეხოვი. პირველად მას ეგონა, რომ  
ბედნიერებას მიაღწია და მით დაფარა მთელი თავისი მძიმე წარ-

სული. ნატალია მოშიწებით თავს ევლებოდა გრიგოლს, ხოლო გა-  
ცილების უამს იგი აღელვებული, სიხარულის ცრემლებით შეცყუ-  
რებდა მას.

თუმცა ნატალიამ ძლიერ განიცადა, როდესაც ის პირველად  
ქმარმა მიატოვა, მაგრამ მას იმედი მაინც შერჩა, რომ იგი კვლავ  
დაუბრუნდებოდა. მხოლოდ ჭორებმა და დაცინვამ აიძულეს ნატა-  
ლია თვითმკვლელობის ცდისთვის მიემართა.

ამაღლვებელია ნატალიას უკანასკნელი დღეები. მას სიკვდილი-  
ელის, მაგრამ ის სულიერად მაინც არ ეცემა. პირიქით, ნატალია  
ნამდვილ მამაცობასა და სიმტკიცეს იჩენს. მისი თავდავიწყებული  
სიყვარული ბოლომდე ნაზია და სპეტაკი. სიკვდილის წინ ნატალია  
მოითხოვს, რომ მას ის მწვანე კაბა ჩააცვან, რომლითაც გამოწყო-  
ბილი უყვარდა გრიგოლს. ნატალია თავის პატარა ვაჟიშვილს ან-  
დერძად უტოვებს: „დაბრუნდება მამაშენი, — დაკოცნე იგი ჩემ  
მაგიერ და უთხარი, რომ მან თქვენ შეგიბრალოთ“.

უსაზღვროა ნატალიას სულგრძელობა და სიკეთის გრძნობა-  
მიუხედავად მძიმე განცდებისა, შეურაცხყოფის და დამცირებისა-  
რაც მას ბედმა არგუნა გრიგოლთან ცხოვრების მანძილზე, ნატა-  
ლია მაინც სიკვდილის წინ ყველაფერს პატიებს ქმარს.

ღირსშესანიშნავ ადამიანად არის წარმოდგენილი გრიგოლის  
დედა ოლინიჩნა, რომელსაც საშინელი ცხოვრება გაუვლია. ქალი-  
სათვის უაღრესად მძიმე დამქაცავ შრომასთან ერთად მას გადა-  
უტანია ულმობელი ქმრის სიმკაცრე და არააღმიანური მოპყრობა,  
მაგრამ მიუხედავად ამისა, შეუნარჩუნებია ზნეობრივი სიწმინდე-  
ბუნებრივი სიბრძნე, გამსჭვრეტელობა და ადამიანებისადმი გუ-  
ლისხმიერება.

ჩვენს წინაშე ნათლად წარმოსდგება „ბრძენი და მამაცი მო-  
ხუცი ქალის“ ობობას ქსელივით დანაოჭებული სახე, შრომით  
გაუხეშებული ხელები: ილინიჩნა ვაჟკაცურად ხვდება სიკვდილს-  
შოლოხოვი ღიდებულად შენიშნავს, რომ ტანჯულმა მოხუცმა სა-  
მარადისო მოსვენების ეს უფლება მთელი თავისი ხანგრძლივი და  
მწარე ცხოვრებით მოიპოვა. ილინიჩნას სახე — ეს არის სახე  
უბრალო რესი გლეხი ქალისა, შესანიშნავი მშრომელი დედისა.

სულ სხვანაირად წარმოსდგება ჩვენს წინაშე ბეღნიერი ყმა-  
წვილი ქალი დუნიაშვა. ის მოუთმენლად მიექანება ახალი ცხოვრე-

პისაკენ. მას ბედმა არგუნა ბრწყინავდეს თავისი სილაშაზით მზის  
სხივებზე დიდი ქარიშხლის შემდეგ.

\* \* \*

რომანი „წყნარი დონი“ ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მთელი ეპოქის მხატვრული აზრის უმაღლეს მიღწევებს შეიცავენ და დიდი ხნის მანძილზე ცოცხალ ქანდაკებად რჩებიან, ხელოვნების განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვან ეტაპებად ჭარმოსდგებიან.

თავისი მხატვრული დიაპაზონით, სინამდვილის ფართო ასახვით, განხოგადების სიღრმით შოლოხოვის „წყნარი დონი“ გვერდში უდგას ისეთ ეპიკურ ნაწარმოებებს, როგორიცაა პუშკინის „ბორის გოდუნოვი“, გოგოლის „ტარას ბულბა“, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, გორკის „კლიმ სამგინის ცხოვრება“.

ა. ნ. ტოლსტოი სამართლიანად შენიშნავდა, რომ მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ თავისი ენით, გრძნობით, ადამიანურობითა და პლასტიურობით სრულიად რუსული, ნაციონალური, ხალხური ნაწარმოებით.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, რომანის მთავარი გმირი ხალხია. უამრავი ეპიზოდური პერსონაჟები, რომლებიც ერთიმეორეს ცვლიან და საუცხოოდ არიან ინდივიდუალიზებული და ტიპიზებული, ქმნიან ხალხის მთლიან სახეს. ათავსებს რა მრავალნაირ ხასიათებს სინამდვილის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, მწერალი ამ ხასიათებში ხალხის სხვადასხვა ფენის სოციალურ არსებულებების სახავს.

შოლოხოვი ახდენს რევოლუციონერი ხალხის, მისი მაღალი მორალური სახის, „სულიერი სიღიადის პოეტიზაციას“. მწერალი შეტრაფის მტერზე გამარჯვების ურყევ რწმენას. ყოველივე ამას შოლოხოვი დიდი ძალით სახავს თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის ეპიკურ სურათებში.

თხრობის განვითარებასთან ერთად თანდათან მატულობს მწერლის ლირიზმი. „წყნარ დონში“ დრამატული დამაბულობისა და ჩვეულებრივი ლირიკულობის გაერთონებამ საშუალება მისცა საბჭოთა კომპოზიტორ ი. ძერუინსკის შესანიშნავი ოპერა შეექმნა ამ თემაზე.

რომანში ჩვენ ვხედავთ ავტორის გადახვევებს, რომლებიც

ორგანულადაა ჩაქსოვილი თხრობაში. ეს გადახვევანი გამოხატავენ მწერლის სიახლოვეს ხალხთან, ხალხის უკეთესი მომავლიდა აინტერესებას, თვალუწვდენი სამშობლოსადმი ცხოველ სიყვარულს.

აბა გავიხსენოთ, როგორი გულისძამდაგველი სასიმღერო კილოთი, სევდიანი ინტონაციით არის გაუღენთილი ლირიკული გადახვევა დონშჩინაზე, იმპერიალისტური ომის წლებში მის საუკეთესო შვილთა დაღუპვაზე. ამის შემდეგ კი შოლოხოვი იძლევა მშვენიერი პეიზაჟის სურათს, რომელშიაც დიდი გრძნობით გადმოსცემს დედამიწის ზურგზე სიცოცხლის ულეველობას. მწერალი ამბობს, რომ დარღით მოსილი ბუნება მაიც ახარებდა ადამიანს. თავისი მარადი სიცოცხლითო. დონის მინდვრის აღწერას შოლოხოვი უერთებს თავის ერთ-ერთ ყველაზე ემოციურ გადახვევას: „მინდორო მშობლიურო!.. თავს ვიხრი შენს წინაშე და შვილივით ვკოცნი შენს მტკნარ მიწას, დონის კაზაკური, დაუუანგავი სისტო მორწყულო მინდორო!“.

თხრობის დრამატიზმის გაძლიერებას შოლოხოვი უკავშირებს თავისი გმირების ფსიქოლოგიურ დახასიათებას. მწერალი ფსიქოლოგიურად ღრმად გაღმოგვცემს ხალხის მდიდარ და რთულ სულიერ სამყაროს, თვითეული გმირის თავისებურებას, შინაგან განცდებს, გარე ცხოვრების შეგრძნობის განსაკუთრებულ მხარეებს.

რომანში მოხერხებულად არის ნახმარი უარყოფითი პარალელიზმები, რომლებიც კიდევ უფრო ამახვილებენ ყურადღებას დადებით ნაწილზე. თვით ეპიტეტი „წყნარი“ კონტრასტული გაგებით არის ნახმარი შედარებით იმ მღელვარე მოვლენებთან, რომლებიც დონზე ვითარდებოდნენ რევოლუციურ ეპოქაში.

შოლოხოვის „წყნარ დონში“ ადამიანის ფსიქოლოგიის გამოაშეარავება შერწყმულია ბუნების სამყაროს ღრმად განჭვრეტისთან, თხრობის დრამატიზმი — ლირიკულობასთან, ტრაგიკულ სიტუაციები — იუმორისტულ სცენებთან.

„წყნარ დონზე“ მუშაობისას იზრდებოდა და სრულქმნილ ბედოდა შოლოხოვის ენობრივი ოსტატობაც. მწერალი ცდილობდა სიტყვის რაც შეიძლება მეტი მხატვრული ასახულობა, უბრალოება და სიზუსტე ეპოვნა; იგი უხვად სარგებლობდა ნათელი, მკვეთრი, ძარღვიანი, გამომეტყველი ხალხური ენით.

თავისი „წყნარი დონით“ - მ. შოლოხოვმა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში საგრძნობი წვლილი შეიტანა.

„წყნარი დონის“ ავტორისაგან საბჭოთა მწერლები სწავლობენ სინამდვილის ეპიკური ასახვის, ფართო ტილოების შექმნის, ადამიანური ხასიათებისა და ხალხის. ფსიქოლოგის გამოვლინების ოსტატობას. წლითი წლობით იზრდება იმ წიგნთა რიცხვი, რომლებიც ასე თუ ისე განიცდიან შოლოხოვის მხატვრული ოსტატობის გავლენას. ასეთ წიგნებს ეკუთვნის ა. პერვენცევის „ყუბანის სათავეში“, დ. პეტროვ-ბირიუკის „კაზაკები“, მ. ბუბენოვის „თეთრი არყის ხე“, კ. სადეხის „დარია“, ნ. სოკოლოვის „ნაპერწყალი“.

„წყნარი დონი“ თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. გას კითხულობენ საფრანგეთსა და ინგლისში, იტალიასა და დანიაში, ინდოეთსა და პორტუგალიაში, ესპანეთსა და ამერიკაში, შვეციასა და იაპონიაში.

გამოჩენილი ამერიკელი პროგრესული კრიტიკოსი სემოუელ სილენი, ადარებდა რა შოლოხოვს ლ. ტოლსტოის, წერდა: „ორივე მწერალი გადაგვიშლის ადამიანური ტიპების განსაცვიფრებელ ფართო გალერეას, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას წარმოადგენენ — სხვადასხვა რწმენისა და ტემპერამენტის ადამიანები არიან... თუ ტოლსტოის რომანი არის XIX საუკუნის პროგრესული ხელოვნების სათავე, შოლოხოვის რომანი უჩვენებს ცხოვრების ახალ პორიზონტებს, რომლებიც თანამედროვე ეპოქაში ისახება“. მეორე საზღვარგარეთელმა კრიტიკოსმა „წყნარ დონს“ რუსეთის რევოლუციის შესახებ დაწერილ რომანთა შორის უდიდესი რომანი უწოდა. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შოლოხოვს აქვს „ხალხის გრძნობა, რაც იშვიათად გვხვდება რომელიმე სხვა ქვეყნის ლიტერატურაში, გარდა რუსეთისათვის.“

„წყნარმა დონმა“ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ახალგაზრდა ლიტერატურაზე. მაგალითად, რუმინეთის პრესაში აღინიშნა, რომ ამ წიგნს შეუძლია არა თუ მიმართულება მისცეს ლიტერატურას, არამედ ადამიანების შეგნებაც კი შეცვალოს. შოლოხოვის ეპოქეა დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩინეთსა და ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და კორეაში, პოლონეთსა და უნგრეთში.

„წყნარი დონი“ ერთი იმ დიდ ნაწარმოებთაგანია, რომლებიც

სამუდამოდ ჩვენს თანამგზავრებად და მეგობრებად რჩებიან. იგი არა მარტო ზეგავლენას ახდენს მოწინავე საბჭოთა და საზღვარ-გარეთული ლიტერატურის განვითარებაზე, არამედ მრავალნაირად შონაწილეობს ახალი ადამიანის, საბჭოთა საზოგადოების მოწინავე ჰამოყალიბებაში.

რომანი „წყნარი დონი“ დაჯილდოებულია პირველი ხარისხის სტალინური პრემიით.

\* \* \*

„წყნარ დონზე“ მუშაობისას მ. შოლოხოვი დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე იმ მოვლენებს, რომლებიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში ვითარდებოდა. დაიწყო მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია. ამ დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა იმდენად დააინტერესა მწერალი, რომ მან დროებით შეაჩერა მუშაობა „წყნარ დონზე“. ის ვაცაციცებით ადევნებდა თვალს და აკვირდებოდა იმ მოვლენებს, რომელთა მოწმე და აქტიური მონაწილეობა თვითონ იყო. შოლოხოვი შეუდგა ახალი რომანის წერას, რომელსაც „გატეხილი ყამირი“ უწოდა.

ამ დროს გამოდის სოფლის სოციალისტური გარდაქმნის თემაზე დაწერილი მთელი რიგი ნაწარმოები. მაგრამ მათში თითქმის სრულიად არ არის ნაჩენები მუშათა კლასის წამყვანი როლი საკოლმეურნეო ცხოვრებაზე სოფლის გადასვლის საქმეში. მუშის სახე ეპიზოდურ ფიგურად წარმოსდგება ისეთ დიდ ნაწარმოებშიც კი, როგორიც არის ფ. პანფეროვის „Брусеки“. ამ ხარვეზს ავსებს გ. შოლოხოვი თავისი ახალი რომანით. ის ასახავს სოფლის ცხოვრების „დიდ გარდატეხას“, როგორც „თვით მასების მოძრაობას“, როგორც ხალხის შემოქმედების აქტს მუშათა კლასისა და პარტიის ხელმძღვანელობით.

„გატეხილი ყამირი“ არსებითად „წყნარი დონის“ გაგრძელებაა.

„წყნარ დონში“ კაზაკობა ნაჩენებია რევოლუციის პირველ ეტაპზე, სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც ის, სძლევდა რა რეაქციულ ტრადიციებს, გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. „გატეხილ ყამირში“ კი დონელი კაზაკობა წარმოდგნილია ახალ ისტორიულ ეტაპზე — კოლექტივიზაციის პერიოდში.

<sup>1</sup> სარგაბლიანობა მოწვრილით ვ. В. Гура, Жизнь и творчество М. А. Шолохова, М., 1955.

ამ რომანში შოლოხოვი ფართოდ და მრავალმხრივ აშენებს  
ოცდაათიანი წლების ძირითად პრობლემებს. ის აღადგენს სოფ-  
ლის რეალურ პოლიტიკურ მდგრადარეობას, კლასობრივი ბრძოლის  
სიმწვავესა და დააბულობას, ამ ბრძოლაში ძალთა განაწილებას  
კოლექტივიზაციის დროს. მწერალი გვიჩვენებს კულაյთა და თეთრ-  
გვარდიელთა გაშმაგებულ წინააღმდეგობას, მავნებლობას, ხელ-  
მძღვანელობის შეცდომებას და გადახრებს, აგრეთვე ყოველივე  
ამის გადალახვას მუშათა კლასთან კავშირში კომუნისტური პარ-  
ტიის ხელმძღვანელობით. რომანში ნათლად არის წარმოდგენილი,  
თუ როგორ ხდება შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულე-  
ბის ჩამოყალიბება, რა მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ შრომას  
ადამიანთა ახალი ცხოვრების აგების საქმეში; მკვეთრად და მთელი  
თავისი ფსაქოლოგიური სირთულით არის დასმული ახალი ისტო-  
რიული ვარდატეხის ეტაპზე იდეური აღზრდის პრობ-  
ლემა.

რომანის მხატვრულ სახეებში მწერალი გვისურათებს სოფლის  
ცხოვრების ძველი წყობის ლიკვიდაციის პროცესს. ასახავს რა  
სოციალიზმისაკენ გლეხთა მასების გადამწყვეტ შემობრუნებას,  
მწერალი ხაზს უსვამს ახლის, პროგრესულის უძლეველ ძალას,  
ძველის, წარმავალის აღმოფხვრის საქმეში. მკითხველისათვის ნა-  
თელი ხდება სოფლად სოციალიზმის გამარჯვების კანონზომიერება—

რომანის იდეური მნიშვნელობა ხაზგასმულია თვით სათაუ-  
რით—„გატეხილი ყამირი“. მშრომელი გლეხობის ცხოვრებასა და  
შეგნებაში ღრმა რევოლუციურ გარდატეხას შოლოხოვი გატეხილი  
ყამირის, პირველად მოხნული, ნოყიერი, ახალი თესლით დათე-  
სილი და უხვი მოსავლის იმედის მომცემი მიწის სახეში აქსოვს.  
გატეხილი ყამირი განასახიერებს მშრომელ გლეხობას, რომელიც  
თავისუფლდება ძველის ნაშთებისაგან და მთელ თავის შემოქმე-  
დებით ენერგიას ბეღნიერი საკოლმეურნეო ცხოვრების შექმნას  
ახმარს.

მოქმედება ვითარდება ორი კლასობრივი ძალის შეტაკების  
საფუძველზე. ერთი მხრივ წარმოდგენილია ხუტორ გრემიაჩი ლო-  
გის მშრომელი გლეხობა, რომელიც კომუნისტ-ოცდახუთათასელის  
დავიდოვის ხელმძღვანელობით ქმნის კოლმეურნეობას, ხოლო  
მეორე მხრივ — ხუტორის კულაკური ნაწილი კონტრრევოლუ-

ფიონერ პოლოვცევის მეთაურობით, რომელიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ახლად შექმნას კოლმეურნეობას.

სიუჟეტი აგებულია ისე, რომ დავიდოვი და პოლოვცევი ერთ-მანეთს პირისპირ არასოდეს არ ხვდებიან, მაგრამ მოვლენათა ვითარება მათი ქცევითა და მოქმედებით განისაზღვრება.

კლასობრივი ბრძოლა უკიდურეს წერტილს აღწევს, როდესაც ქვეყნდება ი. ბ. სტალინის სტატია „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“. ეპიზოდები, რომლებიც დაკავშირებულია ამ სტატიასთან, შეაღგენენ რომანის მოქმედების კულმინაციას. სტალინის სტატიის გავლენით პოლოვცევს აღარ უჯერებენ ჩამორჩენილი კაზაკებიც კი, ხდება მათი საბოლოო ჩამოშორება მისგან, იმსხვრევა მისი კონტრრევოლუციური აჯანყების გეგმა და მტკიცდება კოლმეურნეობის ძირითადი ბირთვი.

სიუჟეტის საკვანძო მომენტებია მასობრივი სცენები, დაკავშირებული განკულაკებასთან, კოლმეურნეობის შექმნასთან, პირუტყვის გაერთიანებასთან, სათესლე ფონდის შეგროვებასა და საგაზაფხულო თესვასთან.

რომანის პირველ წიგნში კვანძის საბოლოო განსხვა არაა მოცემული, მაგრამ იგი წინასწარ გადაწყვეტილია მოვლენათა მთელი კითარებით: საკოლმეურნო მოძრაობა იმარჯვებს და ახალი სოფლის საუკეთესო მშრომელნი კომუნისტური პარტიის რიგებში შედიან.

რომანის ცენტრალური ფიგურაა ოცდახუთათასელი დავიდოვი. ის განასახიერებს ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს მუშათა კლასისა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა ახალ ცხოვრებას აშენებს.

მიუხედავად იმისა, რომ დავიდოვს თავის მუშაობაში ზოგიერთი ხარვეზი აქვს, ის უკვე პოლიტიკურად სავსებით მომწიფებული და სოფლად პარტიის პოლიტიკის გამტარებელია. მასთან ერთად შოლოხვი გვიხატავს ორ სახეს. ამ სახეებში ის გვიჩვენებს ზრდის პროცესის თავისებურ ტკივილებს, რომლებსაც განიცდიდნენ სულ ახლახან პოლიტიკურ სკოლაგავლილი სოფლის კომუნისტები. ასეთები არიან ნაგულნოვი და რაზმეტნოვი.

ნაგულნოვი პარტიის უაღრესად ერთგული წევრია, სისხლით

და ხორცით არის მასთან შეზრდილი. მაგრამ შეუკავებელ ტემპერა-  
მენტს, პოლიტიკურ მოუმწიფებლობას ნაგულნოვი ხანდახან ყოვ-  
ლად შეუწყნარებელ „მემარცხენე“ შეცდომებამდე მიჰყავს. ის  
გატაცებულა მსოფლიო რევოლუციის იდეით, მაგრამ ნათლად ვერ  
ერკვევა თავისი კოლმეურნეობის კეთილდღეობის კონკრეტულ  
ვითარებაში. ნაგულნოვს ახასიათებს უკიდურესობა: ის ხან მოი-  
თხოვს დაუყოვნებლივ დახვრიტონ კაზაკები, რომლებიც პირუტყვს  
ჰქონდენ იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობაში არ გააერთიანონ, ხან  
მოუწოდებს, რომ ქათმებიც კი კოლმეურნეობაში იქნენ გაერთია-  
ნებული, ხან ნაგანით ემუქრება კაზაკებს და ხელშერილს სთხოვს,  
რომ ისინი „საბჭოთა ხელისუფლებას წინ არ ეღობებოდნენ“.  
იგრძნობა, რომ მტკიცე ხელმძღვანელობის გარეშე ნაგულნოვი  
ბევრ გამოუსწორებელ შეცდომას ჩაიდენდა, მაგრამ დავიდოვის  
ზეგავლენით ის შედარებით მალე სწორდება, სწორ გზაზე დგება.

ნაგულნოვისაგან ბევრად განსხვავდება რაზმეტნოვი. ამ უკა-  
ნასკნელს არ ჰყოფნის ნებისყოფა და მოთმინება. ის თავს ვერ  
იკავებს განკულაკების დროს, მას არ შეუძლია გადააჯეროს მარი-  
ნე, როდესაც ის კოლმეურნეობიდან გასვლას გადაწყვეტს.

საყურადღებოა, რომ რაზმეტნოვი, ისე როგორც ნაგულნოვი,  
დავიდოვს უყურებს როგორც იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა  
იქცეოდეს პარტიის წევრი, და იგი თანდათან უფრო მკაცრი და  
მტკიცე, ნამდვილი კომუნისტი ხდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კონდრატ მაიდანი-  
კოვის ფიგურა. მისი სახით შოლოხოვი გვიჩვენებს კოლმეურნეო-  
ბაში საშუალო გლეხის ჩაბმას. ცნობილია, რომ ეს მეტად მნიშვნე-  
ლოვანი მოვლენა იყო. აჯამებდა რა 1929 წლის შედეგებს თავის  
წერილში „დიადი გარდატების წელი“, ი. ბ. სტალინი წერდა:  
„...კოლმეურნეობისაკენ დაირჩა საშუალო  
გლეხი. ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ძირეუ-  
ლი გარდატების საფუძველი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების  
უმნიშვნელოვანეს მიღწევას შეადგენს გასული წლის მანძილზე“<sup>1</sup>.  
სტალინს მოყვავდა ლენინის სიტყვები: „კომუნისტურ საზოგადოე-  
ბაში საშუალო გლეხობა მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე,  
როცა მას ცხოვრების ეკონომიურ პირობებს შევუმსუბუქებთ და

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 146.

გაუუმჯობესებთ“, და დასძენდა: გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია ამ ამოცანასაც წარმატებით ართმევს თავს. ცნობილია, რომ დამდეგი 1930 წლის გაზაფხულისათვის ჩვენ მინდვრებზე გვექნება 60 ათასზე მეტი ტრაქტორი. აი სად არის იმის მიზეზი, რომ საშუალო გლეხმა პირი იბრუნა „კომუნისაკენ“!

კონდრატ მაიდანიკოვი კრებაზე სწორედ იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ მან გაიგო, თუ რამდენად გააუმჯობესებს მის მდგომარეობას კოლმეურნეობაში შესვლა, და რაკი ეს გაიგო, იგი მტკიცედ მიდის არჩეული გზით. ხოლო ეს გზა მისთვის იოლი როდია შოლოხოვი ძალიან დიდი დაკვირვებათ მიუთითებს იმაზე, რომ მაიდანიკოვი სულ უფრო მეტი ინტერესს იჩენს საკოლმეურნეო ქონებისადმი. ის კარგად გრძნობს თავის სიახლოვეს პარტიასთან, მისთვის ნათელია, რომ პარტიას გლეხობა მიჰყავს სამური, ბეჭისიერი ცხოვრებისაკენ. სწორედ ამიტომ მაღდანიკოვი თვლის, რომ ის ჯერ კიდევ არ არის მზად პარტიაში შესასვლელად. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ დღითიდღე მაიდანიკოვი უფრო მეტად ამჟღვებს ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას. თავის სიტყვაში „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“ ი. ბ. სტალინი ამბობდა, რომ სწორედ იმიტომ, რომ საშუალო გლეხი კოლმეურნეობაში მოვიდა, „საკოლმეურნეო მოძრაობა... გადაიქცა გლეხობის ძირითადი მასების მილიონთა და მილიონთა მოძრაობად“<sup>1</sup>.

ყოველივე ამას შოლოხოვი ბრწყინვალედ წარმოადგენს მაიდანიკოვის სახით.

სახეთა სისტემა რომანში უკუფენს კოლექტივიზაციის გამო კლასობრივი ბრძოლის ძალთა განლაგებას: ერთი მხრივ — კოლმეურნეობის შემქმნელნი და ორგანიზატორები — დაგიღოვი, ნაგულნოვი, რაზმეტნოვი, მაიდანიკოვი, უშაკოვი, ლიუბიშკინი და სხვა აქტივისტები; მეორე მხრივ — ხალხის მტრები, კოლექტივიზაციის გატარების ხელის შემშლელნი — პოლოვცევი, ლიატევსკი, ოსტროვნოვი, კულაკები და მათ გავლენის ქვეშ მოყოლილი საშუალო (ბანიკ) და ღარიბი (ზორსჩევი) გლეხები.

ხალხის სახე მოცემულია დინამიკაში. მისი სოციალისტური

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხ., გვ. 12, გვ. 148, 149.

<sup>2</sup> ვ. ვ. ვ. გვ. 155.

შეგნების განვითარება და განმტკიცება გამოვლინებულია მშრომელი კაზაკობის მასების განზოგადებულ სახესა და ღარიბი და საშუალო კაზაკების ტიპიურ სახეებში. კაზაკთა მასა ნაჩვენებია ჯერ ცალკე ჯგუფებად განკულაკების სცენებში, შემდეგ მთლიანად — ჭუტორის კრებებზე, უშუალოდ შრომის პროცესში.

შოლოხოვი გვიჩვენებს, რომ გლეხთა მასობრივი ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ პარტიის მიერ სოფლად ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგი იყო. მწერალს კარგად აქვს შეგნებული, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა გამოწვეული და ჯამართლებული იყო არა მხოლოდ მშრომელი გლეხობის მატერიალური მდგომარეობით, არამედ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნებითაც. ამის შესახებ ლაპარაკობს დავიდოვი ღარიბ გლეხთა პირველსავე კრებაზე: „თქვენ ყველა უნდა გაერთიანდეთ კოლმეურნეობაში, განასაზოგადოთ მიწა, მთელი თქვენი იარაღები და საქონელი. რატომ უნდა შევიდეთ კოლმეურნეობაში? იმიტომ, რომ კვლავ ასე ცხოვრება არ შეიძლება. პურის გამო სიძნელეები იმიტომ გვაქვს, რომ კულაკი მას მიწაში ალპობს. იძულებული ვართ პური ბრძოლით წავართვათ! თქვენ კი სიამით ჩააბარებდით, მაგრამ თვითონაც რომ ცოტა გაქვთ! საშუალო-ღარიბთა პურით საბჭოთა კავშირს ვერ გამოჰქვებავ. საჭიროა მეტი დაითესოს. მერე, როგორ გინდათ კავით, ან ერთსაკვეთიანი გუთნით მეტი დასთესო? მხოლოდ ტრაქტორს შეუძლია ჩვენი ხსნა. ეს ფაქტია!“<sup>1</sup>.

მშრომელი გლეხობა უყოფმანოდ უჭერებს დავიდოვს. აი როგორ პასუხს აძლევს მის გამოსვლაზე გლეხთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ლიუბიშკინი: „—არა, ერთი მითხარი, რა საჭიროა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის შენ აგიტაციას გვიწვევ აქა? ომის ღრის თვითონ ჩვენ ფეხზე დავაყენეთ ის აქა. და მხარი მივეცით, რომ არ წაქცეულიყო. ვიცით, რა ხილია ეგ კოლმეურნეობა და კიდევაც შევალთ შიგა... მე თვითონ კალინინისათვის წერილის მიწერა მინდოდა, რო გლეხებს დახმარებოდა ახალი ცხოვრების გამართვაში“.

<sup>1</sup> ყველა შემთხვევაში ვსარგებლობთ არისტო ჭუმბაძის თარგმანით, სახელ-ვამი, 1934.

ამრიგად, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მშრომელ გლეხობას  
არა მხოლოდ კარგად შეუგნია „ახალი ცხოვრების გამართვის“  
აუცილებლობა, არამედ ის მთელი სულით და გულით მხარს უჭერ-  
და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას, რომელ-  
საც პარტია ახორციელებდა.

\* \* \*

როგორც ცნობილია, გასულ წელს უურნალ „ოგონიოქში“ და  
გაზეთ „პრავდაში“, ხოლო წელს უურნალ „ოქტომბერში“ დაიბეჭ-  
და „გატეხილი ყამირის“ ახალი თავები.

ოც წელზე მეტი გავიდა და ჩვენ კვლავ ვეცნობით საყვარელი-  
წიგნის გმირების შემდგომ ცხოვრებას. მკითხველისათვის უდაგოდ-  
ძნელია მათი ხელახლა წარმოდგენა ესოდენ დიდი ხანდაზმულობის  
შემდეგ. ჩვენი ქვეყანა ბევრად შეიცვალა, ხალხი გაიზარდა, მოვი-  
დნენ ახალი თაობანი, რომლებიც კომუნიზმის აქტიური მშენებლე-  
ბი გახდნენ. თანამედროვე მკითხველთა შორის ცოტანი როდი-  
არიან ისეთებიც, რომლებსაც სრულიად არ ახსოვთ ოცდაათიანი-  
წლები და ბავშვები იყვნენ დიდი სამამულო ომის დროს.

ბევრი რამ შეიცვალა ლიტერატურაშიც. იგი საგრძნობლად  
გამდიდრდა და მრავალსახოვანი გახდა, მტკიცედ დამკვიდრდა სო-  
ციალისტური რეალიზმი.

რომანის ახალ თავებში ასახული მოვლენები - და ვითარებანი-  
მძლავრად ეხმაურებიან ჩვენს დღეებს, ცხადყოფენ იმ თავდადე-  
ბულ პატრიოტულ შრომას, რომელსაც პარტიის მოწოდებით  
ახლანდელი საბჭოთა ადამიანები ეწევიან სოფლად. მაგრამ ჩვენ ამ  
მხრივ არ უნდა ვეძებოთ პირდაპირი დამტხვევები. ამჟამად საკოლ-  
მეურნეო სოფელი თავისი განვითარების უფრო მაღალ, ახალ სა-  
ფეხურზე იმყოფება, მაგრამ საკოლმეურნეო წყობის განმტკიცებისა-  
და სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეგნების საკითხები  
მაინც არ არის მოხსნილი.

რომანის ახალ თავებში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იცვლიან  
თავიანთი მოქმედებისა და ქცევის მეთოდებს ახალი ცხოვრების  
მტრები — ოსტროვნოვი, პოლოვცევი, ლიატევსკი და სხვები.  
რაც უფრო იზრდება და ძლიერდება მათში ღვარძლი და ბრაზი,  
შით უფრო აშკარა ხდება, რომ ისინი განწირული არიან.

სამაგიეროდ ყოველმხრივ იმარჯვებენ ახალი სოციალისტური სოფლის წარმომადგენლები მუშა-კომუნისტის დავილოვის მეთაურობით. იზრდება ჩვენი ძველი ნაცნობების — ნაცულნოვის, რაზმეტნოვის, მოხუცი შუკარის, კონდრატ მაილანიკოვის შევნება, მღილრდება მათი შინაგანი სამყარო, სულ უფრო ბრწყინვალედ ისახება მათი მომავალი.

ჩვენს წინაშე წამოსდგება მშვენიერი ყმაწვილი ქალის — ვარიას სახე, რომელიც თავისი ნათელი სხივებით უხვად მოჰქონდა შუქს დავილოვის ამ კეთილი გულის და მაღალ მისწრაფებათა აღაშიანის ცხოვრებას.

რომანის ახალი თავები მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს თავისი ღრმა შინაარსითა და მდიდარი მხატვრულობით.

\* \* \*

„გატეხილ ყამირში“ შოლოხოვის მხატვრული ოსტატობა შემდგომ განვითარებას აღწევს. ჩვენ აქ კვლავ ვხედავთ ფართო ეპიკურ გაქანებას. კვანძის შეკვრა, კულმინაცია და კვანძის გახსნა ემყარება არა გმირების პირად ურთიერთობას, არამედ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს, რაც სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დამახასიათებელი თვისებაა და რაც განსაკუთრებული ძალით წარმოსდგა ამ მეთოდის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის რომანში „დედა“.

ამ დიდ მოვლენებთან ერთად, რომლებიც სიუჟეტის საფუძველს წარმოადგენ, შოლოხოვის რომანში ბევრია კერძო სცენები და ეპიზოდები, თავისებური სურათები, რომლებიც ხან „აცოცხლებენ“ თხრობას, ხან კიდევ ამა თუ იმ დაძაბულ მდგომარეობას ანელებენ. შოლოხოვი იუმორსაც მიმართავს. მისი იუმორი სიცოცხლით სავსეა და ნაწარმოებს ოპტიმისტურ ელფერს აძლევს.

შოლოხოვის რომანების კომპოზიცია ხასიათდება იმით, რომ ჯველა მოვლენა, პერსონაჟი და ავტორის შემთხვევითი შენიშვნაც კი ყოველთვის მოტივირებულია მისი განზრახვით, რომელიც შემდგომი თხრობის პროცესში ირკვევა.

სოციალისტური რეალიზმის კლასიკური ნიმუში „გატეხილი ყამირი“ თავისი შემოქმედებითი მანერითა და ენობრივი ოსტატობით მეტად თავისებური რომანია. შოლოხოვის იშვიათად გამომსა-

ხველი სტილი, რომელიც საერთოდ ცოცხალი ხალხური ენის სიმდიდრეს შეიცავს, მოწმობს, რომ მისი შემოქმედების ფესვები ღრმად მიდის ხალხურ ნიადაგში. მწერალი უხვად სარგებლობს დონური კილოკავით, რომელსაც საფუძვლად უდევს რუსული ნაციონალური ენა. შოლოხოვს კარგად ესმის, რომ მწერალმა უნდა წეროს საერთოდ მიღებული ლიტერატურული ენით, მაგრამ ამასთანავე ის შენიშნავს: „ადგილობრივი დიალექტების ხმარება რამდენადმე დასაშვებია, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს მოხერხებულად და გემოვნებით“. „დიალექტების ბოროტად გამოყენებას ლიტერატურულ ნაწარმოებებში, — ამბობს შოლოხოვი, — ვთვლი უდავო ნაკლად. ახალ გამოცემაში მე ვწმენდ ჩემს წიგნებს ადგილობრივი სიტყვებისაგან“.

აქვე აღსანიშნავია, რომ როდესაც 1934 წელს დიდი დისკუსია გაიშალა ენის საკითხების გარშემო, შოლოხოვმა საკეთო გაიზიარა მ. გორჯის მოწოდება ენის სიწმინდისათვის ბრძოლისაკენ.

შოლოხოვი დიალოგის შესანიშნავი ოსტატია. ის მშვენივრად გადმოსცემს პერსონაჟების მეტყველების ინდივიდუალურ თავისებურებასა და მასების განწყობას, მათ სოციალურ არსს.

შოლოხოვი ხატავს არა მარტო მასას, არამედ გამომეტყველი შტრიხებითა და ინდივიდუალური თვისებებით გამოარჩევს ცალკეულ პორტრეტებსაც. აი, შაგალითად, როგორ წარმოადგენს იგი კონდრატ მაიდანიკოვს: „შუა რიგებიდან ერთი კაზაკი წამოდგა, თავზე მელის ტყავის სამყურა ეხურა, შავი ქურქი მთლად გახსნილი ჰქონდა. სიტყვა ითხოვა. დაკიდებული ლამპა ირიბულ შუქსა სცემდა მის სამყურას, წითური ბეჭვები ელავდა და თითქოს იფუტებოდა“.

მწერალი ამჩნევს და ასახავს ისეთ დეტალებს, რომლებიც ცოცხალ სურათს ქმნიან. აღწერს რა ხუტორის საერთო კრების მსვლელობას, შოლოხოვი შენიშნავს: „გაღებულ კარებიდან თამბაქოს ბოლნარევი ირთქლი გამოდიოდა“; „ბრბო სუნთქვავდა მზეუჭვრიტას ზეთით, ხახვით, მახორეკით, პურის ნაბოყინებით“; „ლამპიდან გველის ენასაჭით ავარდა წვეტიანი ალი“.

ისე როგორც „წყნარ ღონში“, „გარეხილ ყამირში“ დიდ როლს ასრულებს პეზარი. შოლოხოვი ბონიბას წარმოადგენს როგორც ღერებით, ბგერებითა და სურნელოვნებით შემქულ გასაო-

ცარ სამყაროს, სადაც ყველაფერი გონივრული საცოცხლით ცოცხლობს. ამ სამყაროს მწერალი უაღრესად კარგად გრძნობს, ხედავს და უსმენს. ყოველივე ამის გადმოცემით შოლოხოვი კარგად აგებინებს თავის ჩანაფიქრს მკითხველს.

გავიხსენოთ რომანის შემდეგი ადგილები: დავიდოვი სოფლად ჩამოდის ნათელ, მხიარულ დღეს. ასევე მხიარულებით არის სავსე მისი შრომა, კეთილშობილია მის წინაშე დასმული ამოცანა-პოლოვცევი კი ხუტორს მოაღწევს გაყინულ-გათოშილ და გულჩათხრობილ ღამეს, როცა „მდინარეს გაღმა ძალლი ყმუოდა, სინათლე ჭიატობდა“. ეს მაშინვე საშინელ ჩრდილს აყენებს იმ ადამიანს, რომლის გული და გონება შავბნელი აზრებით არის მოცული. მის გამოჩენას რომანში წინ უძღვის გაზაფხულის მოახლოების მანიშნებელი ბუნების ნათელი სურათი. ეს მშვენიერი, მშვიდობიანი სურათი თითქოს უპირისპირდება ნგრევასა და სიკვდილს, რაც შემდეგში მოვლინებულ პოლოვცევს მოაქვს. სხვა შემთხვევაში კი გაზაფხულის სიცოცხლით აღსავს პეიზაჟი თითქოს ხაზს უსვამს ავტორის. განცდებს, რომლებიც კოლექტივიზაციის გამარჯვების დიადი ადეით არის გამოწვეული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რომანის მე-19 თავში წარმოდგენილი პეიზაჟი: „ღამეა... გრემიაჩი ლოგის ჩრდილოეთით, შორს, შორს მიბინდული ველების ქეჩოებს იქით, ხევებსა და ხრამებს, გაუვალ ტყეებს იქით საბჭოთა კავშირის დედაქალაქია. მის თავზე ელექტრონის შუქთა წარლვნაა. მათი მოციმციმე ცისტური ლაპლაპი უხმო / ხანძარივით ადგია თავს მრავალსაჩოლიან სახლებს და მთვარისა და ვარსკვლავების გამოუსადეგარ სინათლეს ჩრდილავს.

გრემიაჩი ლოგს ათას ხუთასი კილომეტრით დაშორებული, ღამითაც ქვებში ჩაჭედილი ცხოვრობს მოსკოვი: გაბმით, ძახილით ღრიალებენ ორთქლმავლები, უზარმაზარ ჭარმონიის აკორდებივით გაისმის ავტომობილების სიჩინოზები, ხრაგუნებენ, ჭყივიან, წეარუნებენ ტრამვაის ვაგონები, ხოლო ლენინის მავზოლეუმს, კრემლის კედელს იქით, მაღალი ცივი ქარი გაბრდლიალებულს ცაში აფართქალებს და ახვევს წითელი ღროშის ვეება ქსოვილს. ძირიდან ელექტრონის შუქით განათებული მეწამულად იწვის, ჩუხჩებებს იგი, ვით სისხლი დაღვრილი. ბორბალივით ატრიალებს ზენა-

რი ქარი, წუთით მოაბრუნებს მძიმედ დაშვებულ დროშას — და იგიც კვლავ აფრიალდება. ბოლო მისი ხან დასავლეთით მიიღო ტევის, ხან კი აღმოსავლეთით და წითლად ლაპლაპებს, ვით ალი აჯანყე-ზათა, ბრძოლისთვის უხმობს“.

ამ სტრიქონების კითხვისას ჩვენ ღრმად განვიცდით სოცია-ლისტური სამშობლოს სიღიადეს და კომუნისტური პარტიის ხელ-მძღვანელი როლის გადამწყვეტ მნიშვნელობას ხალხის ცხოვრებაში. აღწერილ დეტალებში ხაზგასმულია სინათლის, ბგერებისა და მოძრაობის სიუხვე. მოსკოვის მქეფარე ცხოვრება ღამითაც კი არ წყდება. იგი აღაგზნებს გრემიაჩილოგელებს ახალი, ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად. ამაღლებული სახეიმო ტონი უზრუნ-ველყოფილია შესაფერისი რიტმულ-სინტაქსური სტრუქტურით, სიტყვათა წყობა რიტმულ პროზას უახლოვდება.

გრემიაჩი ლოგის სურათი კი მოცემულია საღამოს ფამს რბი-ლი ლირიკული ტონით, რაც მას განასხვავებს მოსკოვის სიღიადი-საგან და ამით ხაზს უსვამს დედაქალაქის წამყვან როლს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ ამოცანებს ემსახურება გამოყენებული მეტაფორები, ეპი-ტეტები და შედარებანიც.

„გატეხილი ყამირის“ უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ მან ნაყოფიერი გავლენა მარტო საბჭოთა ლიტერატურის განვითა-რებაზე როდი მოახდინა. შოლოხოვის რომანი აღაფრთოვანებდა მშრომელ მასებს სოციალისტური მშენებლობის ახალ გამარჯვება-თა მოსაპოვებლად. იგი მისწვდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებსაც კი, ეგზავნებოდა პარტრაიქომებს პარტიული ორგა-ნოების საღირეებით მითითებებთან ერთად. ჭერ კიდევ ოცდა-ათიან წლებში „გატეხილი ყამირი“ თარგმნეს უკრაინულ, ბელო-რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ყაზახურ, ტაჯიკურ, თურქმენულ, უზბეკურ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე. თითქმის ამავე დროს წიგნი ცნობილი გახდა ჩინეთსა და ბულგა-რეთში, ესპანეთსა და ნორვეგიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, ამერიკასა და თურქეთში, შვეიცარიასა და იაპონიაში, საფრან-გეთსა და გერმანიაში.

შოლოხოვის რომანს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ახალგაზრ-დული სიახლე და იერი. და ახლა, როდესაც ჩვენ თვალუწვდენელ

ყამირ და ნასვენ მიწებს წარმატებით ვითვისებთ, „გატეხილი ყამირი“ სრულიად ახალი აქტუალობით ულერს. იგი ახლობელია ჩვენი ხალხისათვის სოციალიზმის გამარჯვების პათოსით, მასში ბრწყინვალედ არის ასახული ის გრანდიოზული და სახელოვანი გზა, რომელიც განვლეს გლეხობამ და მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. „გატეხილი ყამირი“ ამდიდრებს ჩვენი ხალხის რევოლუციურ ენერგიას და ამასთან საზღვარგარეთელ მშრომელებს ასწავლის ცხოვრებისადმი აქტიურ დამოკიდებულებას.

შოლოხოვის რომანს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მათი ახალგაზრდა სოციალისტური ლიტერატურისათვის. „გატეხილი ყამირი“ ამ ქვეყნების მშრომელებს აიარალებს ჩვენი ხალხის ისტორიული გამოცდილებით, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებით.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა პეკინის უნივერსიტეტის პროფესორის ცაო ძინ-ხუას სიტყვები: „შოლოხოვის „გატეხილი ყამირით“ ჩვენი სოფლის ხელმძღვანელი მუშაკები სწავლობენ სიფაზისათვის, მტრის გამოცნობის უნარს, მტრისა, რომელიც თავის დამარცხებას ვერ ურიგდება და მავნებლობას იწყებს“.

შოლოხოვის შემოქმედებითი გამოცდილება მოუწოდებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლებს, რომ მათაც უჩვენონ თავისი გლეხობის ბრძოლა კულაკური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, შრომის კოლექტიურ ფორმებზე გადასვლისათვის. ჩინელი მწერლის ჭოუ ლი-ბოს რომანი „ქარიშხალი“, რუმინელი მწერლის პეტრუ დმიტრიუს მოთხრობა „მგლებზე ნადირობა“, უნგრელი მწერლის ერნე ურბანის პიესა „საბრძოლო მონათვლა“, რომლებიც სოფლის კოლექტიურ შრომაზე გადასვლასა და განმტკიცებას ასახავენ, შოლოხოვის შემოქმედებითი ტრადიციებისადმი მიბაძვას წარმოადგენენ. „გატეხილი ყამირი“ ეხმარება დემოკრატიული ქვეყნების მწერლებს ცხოვრების ღრმად ასახვაში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ფართოდ ათვისებაში.

\* \* \*

მ. შოლოხოვი თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტია. ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია.

1934 წლის დამლევს შოლოხოვი საზღვარგარეთ გაემგზავრა. შეციაში, დანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში ყოფნისას მწერალი მოუთხრობდა საბჭოთა ქვეყნის წარმატებებებზე, ამხელ და ბურეუაზიული პრესის სიყალბესა და ცილისწამებას საბჭოთა კავშირის შესახებ.

1935 წლის 3 იანვარს შოლოხოვმა კოპენჰაგენში გააკეთა მოხსენება თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაზე. იქ დამსწრე მარტინ ანდერსენ ნეკსე გულთბილად მიესალმა შოლოხოვს როგორც „დიადი საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურის წარმომადგენელს“. შოლოხოვს მიესალმენ აგრეთვე ლონდონის უნივერსიტეტისა და ბრიტანეთის სამსატვრო აკადემიის საუკეთესო პროფესორები. მეგობრულ ხასიათს ატარებდა მისი შეხვედრა საფრანგეთის ლიტერატორებთან. შოლოხოვისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო კომუნისტ მწერალ უან რიშარ ბლოკთან საუბარი.

1939 წელს შოლოხოვი ბრწყინვალე პატრიოტული სიტყვით გამოვიდა საკავშირო კპ(ბ) XVIII ყრილობაზე. იმავე წელს ის დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

დიდი სამამულო ომის წლებში შოლოხოვი მუშაობდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროში „პრავდისა“ და „კრასნაია ზვეზდის“ კორესპონდენტად. ის ხშირად გადიოდა ფრონტზე, დაიარებოდა სამხედრო ნაწილებში. ამ წლებში შოლოხოვის მიერ დაწერილი ნაწარმოებები — მოთხოვნა-ნარკვევი „სიძულვილის მეცნიერება“ და თავები დაუმთავრებელი რომანიდან „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ — განიზჩევიან აზრის სიმდიდრითა და რიგოსანი საბჭოთა მებრძოლის ფსიქოლოგიის ღრმა განვივრეტით. ამ ნაწარმოებთა გმირები არიან უკვე განმტკიცებული სოციალისტური საზოგადოების აღამიანები, რომლებიც უმაგალით სიმამაცით იცავენ თავიანთ სამშობლოს. მათი ნიშანდობლივი თვისებაა პირაოისა და საზოგადოებრივის ორგანული შერწყმა, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმისათვის პასუხისმგებლობა.

დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ პერიოდში შოლოხოვმა დაწერა მთელი რიგი პუბლიკისტური სტატიები და ნარკვევები („გამარჯვება, როგორიც ისტორიას არ სცოდნია“, „სიტყვა სამშობლოზე“ და სხვ.). მწერალი დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.


მ. შოლოხოვი უკვე ოც წელზე მეტია თავის სტანიცა ვეშენ-  
სკაიაში ცხოვრობს და უშუალოდ დაკავშირებულია შშობელ ხალხ-  
თან. იგი დაუღალავად შრომობს საყვარელი სამშობლოს საქეთილ-  
დღეოდ.

შოლოხოვის შემოქმედებითი დღე ილევა თავისი ნაწარმოე-  
ბების გმირებთან განუწყვეტლივ ცოცხალ ურთიერთობაში. მწერა-  
ლი გარიერაუზე იღვიძებს და კოლმეურნეობებში მინდვრად  
მიეშურება, მონაწილეობს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების  
მუშაობაში. როდესაც ის შუადღისას შინ ბრუნდება, მას აქ უკვე  
ახალი აღამიანები ელოდებიან. ისინი მასთან მრავალნაირი საქმის  
გამო მოდიან. შოლოხოვი იღებს და გულთბილად ესაუბრება კოლ-  
მეურნეებს, მუშებს, მწერლებს, მხატვრებს, უურნალისტებს. ყველა  
მათვის ის დროს პოულობს, უპასუხებს მრავალრიცხოვან წერი-  
ლებზეც.

შოლოხოვს ახარებს საბჭოთა აღამიანის ზრდა, მისი ახალი  
თვისებანი და თავის შემოქმედებაში იგი უხვად იყენებს მათზე  
დაკვირვების მასალას.

წელს საბჭოთა ხალხმა ფართოდ აღნიშნა მიხეილ შოლოხოვის  
დაბადების 50 წლისთავი. მწერალი კვლავ დაჯილდოებულ იქნა  
ლენინის ორდენით.

ამჟამად მ. შოლოხოვი ძალ-ღონით სავსეა და ნაყოფიერად  
განაგრძობს შრომას. ხალხი მისგან კიდევ ბევრს მოელის.



ავტორი—პავლე მიხეილის-ძე ღუდუშაური  
იბეჭდება ენისა და ლიტერატურის სექციის ბიუროს დადგენილებით  
ექციის ბიუროს თავმჯდომარე საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდვილი წევრი — გ. აზვლედიანი  
რედაქტორი—განო შადური




ს ტამბა „ზარია ვოსტოკა“, თბილისი, რუსთაველის პრ., 42

2016247

ଶେଷବ୍ୟତା № 1604

ଓন্টারিও 1200

ვალი 1 856.



П. М. Гудушаури

ТВОРЧЕСТВО МИХАИЛА ШОЛОХОВА

(На грузинском языке)

Издание Общества по распространению политических  
и научных знаний Грузинской ССР

Тбилиси  
1955

